

ქართული გალობა
ანთოლოგია

Georgian Chant
Anthology

II



გამოცემა ეძღვნება

საქართველოს სამოციქულო,

ავტოკეფალური, მართლმადიდებელი ეკლესიის

ავტოკეფალიის აღდგენიდან 100

და

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის

აღსაყდრებიდან 40 წლისთავს

* * *

This Edition is Dedicated to the

100th Anniversary of the Restoration of the Autocephaly

of the Georgian Apostolic Autocephalous

Orthodox Church

and the

40th Anniversary of the Enthronement of the

Catholicos-Patriarch of All Georgia,

Ilia II

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
The Folklore State Centre of Georgia

ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა

ანთოლოგია

ტომი II

აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

იოანე ოქროპირის ლიტურგიის საგალობლები
(I ნაწილი)

Georgian Chant

Anthology

Volume II

The Chanting Tradition of Eastern Georgia

Chants for the Liturgy of St. John Chrysostom

(Part I)

თბილისი

Tbilisi

2018





ანთოლოგიის II—IV ტომებში აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის (როგორც დღეს უწოდებენ — სვეტიცხოვლის სკოლის) ნირვის, მღვდლის კურთხევისა და ჯვრისწერის საგალობლებია წარმოდგენილი. მათი უმეტესობა ე.წ. „კარბელანთ“ (კარბელაშვილების) სამგალობლო მემკვიდრეობის ნიმუშია.

წინამდებარე, II ტომში დაბეჭდილია იოანე ოქროპირის ლიტურგიის საგალობლები — მღვდელთმთავრის დახვედრის განგების ჰიმნებიდან „ჯვარსა შენსა“-ს ჩათვლით — სტეფანე კარბელაშვილის მიერ 1897, 1898 და 1899 წლებში გამოცემული სანოტო კრებულებიდან, და აგრეთვე — სტეფანე, პოლიექტოს და ფილიმონ კარბელაშვილების, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის, მიხეილ ელიზბარაშვილის, დავით მოლოდინაშვილისა და გრიგოლ ჩხიკვაძის სანოტო ხელნაწერებიდან. ამ საგალობელთა უმრავლესობა პირველად ქვეყნდება.

Volumes II-IV of the anthology are dedicated to the chanting tradition of Eastern Georgia (nowadays referred to as the Svetitskhoveli school), including liturgy, consecration of priests, and weddings. Most of them are from the Karbelant (Karbelashvili brothers) collection of chants.

Printed in Volume II are the chants from the divine liturgy of John Chrysostom, from the order of procession and entrance of the priest, through the chant “We Venerate Thy Cross” – as transcribed and notated by Stephane Karbelashvili in 1897, 1898, and 1899, as well as from the manuscripts of Stephane, Polievktos, and Philimon Karabelashvilis, Mikheil Ipolitov-Ivanov, Mikheil Elizbarashvili, Davit Molodinashvili, and Grigol Chkhikvadze. This is the first time these manuscripts are being published in full.

იდვის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author and Project Leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

II ტომის შემდგენელი და მუსიკალური რედაქტორი — სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Compiler and musical editor: Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი — სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორები: რუსუდან წურწუმია და თამარ ჩხეიძე
Editors: Rusudan Tsurtsumia, Tamar Chkheidze

გამოცემაზე მუშაობდნენ: ნინო რაზმაძე, გიორგი კილაძე, გიორგი ხუნაშვილი, ნუცა ნიკოლეიშვილი
The publication was prepared by: Nino Razmadze, Giorgi Kiladze, Giorgi Khunashvili, Nutsa Nikoleishvili

მთარგმნელები: ერიკ ჰალვორსონი, მარიამ ცოცხალაშვილი, ლევან ვეშაპიძე (უმცროსი)
Translators: Eirik Halvorson, Mariam Tsotskhalashvili, Levan Veshapidze (junior)

ინგლისური ტექსტების რედაქტორი — ჯონ გრემი
English text editor: John Graham

კომპიუტერული უზრუნველყოფა: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი, ლევან ვეშაპიძე, გიორგი აბრამიშვილი, გიორგი ჯოლბორდი
Computer services: Svimon (Jiki) Jangulashvili, Levan Veshapidze, Giorgi Abramishvili, Giorgi Jolbordi

დიზაინერი — ნიკოლოზ გოგაშვილი
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორი — ნინო რაზმაძე
Project coordinator: Nino Razmadze

© საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Folklore State Centre of Georgia

© ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)

ISMN 979-0-802101-23-4 (მეორე ტომის)

შესავალი

ანთოლოგიის II—IV ტომები, სამ ნაწილად გაყოფილ, თემატურად და შინაარსობრივად ერთ მთლიანობას წარმოადგენს. მათში დაბეჭდილია XIX-XX საუკუნეების სანოტო ხელნაწერებსა და გამოცემულ კრებულებში არსებული, იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, პირველშენიერულის (პაპ გრიგოლ დიდის¹) ლიტურგიების, მღვდლის კურთხევისა და ჯვრისწერის განგებათა, აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის, ფაქტობრივად, ყველა საგალობელი.

ანთოლოგიის II—IV ტომებში საგალობლები განლაგებულია ლიტურგიკული თანმიმდევრობით. ერთსახელიანი საგალობლის სხვადასხვა ვარიანტი დაბეჭდილია პრინციპით: ფაქტურული სისადავიდან სირთულისაკენ.

როგორც ერთსახელიან ვარიანტებში, ისე ერთ ჰანგზე განყოფილ ნიმუშებში, თავს იჩენს ტრადიციული მუსიკალური კულტურებისა და შუა საუკუნეთა ხელოვნების სხვადასხვა დარგისათვის დამახასიათებელი ვარიანტულობა და იმპროვიზაციულობა. საერთო არქეტიპული მოდელისა თუ საზიარო ფორმულების არსებობის პარალელურად, მონათესავე ნიმუშებში ზოგჯერ ვლინდება განსხვავებული ფინალისები, ფაქტურული და ჰარმონიული მრავალფეროვნება, რაც პოლიფონიური ფორმაქმნადობის პროცესში, საკომპოზიციო-იმპროვიზაციული და შემოქმედებითი თავისუფლების მაღალ ხარისხზე მიგვანიშნებს.

II—IV ტომებში თითოეული დასახელების საგალობლის რამდენიმე ვარიანტია. ხშირად, ერთი სახელწოდების მქონე საგალობელთა ჯგუფის პირველ ნიმუშთან გაკეთებული გვაქვს შენიშვნები, რომელიც ამ სახელწოდების, ჯგუფისა თუ ჟანრის ყველა ჰიმნს ეხება. სასურველია, ვიდრე ამა თუ იმ საგალობლის შესწავლას შეუდგებოდნენ, მგალობლებმაც და მკვლევრებმაც გაითვალისწინონ ყველა იმავსახელიანი ნიმუშის მუსიკალური ტექსტები და შენიშვნები.

ანთოლოგიის II—IV ტომებში წარმოდგენილია სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი საგალობლები. სამწუხაროდ, ქართულ მუსიკოლოგიაში არ გაგვანია სათანადო სიღრმისა და სისრულის კვლევები ქართული გალობის შემომნახველთა — ნოტებზე ჩამწერთა, მგალობელთა, ლოტბართა თუ გამომცემელთა შესახებ. ვგულისხმობთ არა მხოლოდ ნაკლებად ცნობილ მუსიკოსებს, მაგალითად, დავით ჩიჯავაძე-მიხაილოვს, არამედ, ისეთ სახელებსაც კი, როგორებიც არიან ფ. ქორიძე, ძმები კარბელაშვილები, ე. კერესელიძე და რ. ხუნდაძე. ფაქტობრივად, შესასწავლია ძმები კარბელაშვილების არქივის არა-სანოტო ნაწილი — მათი წერილები, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობითაა დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. არაა მოძიებული და შესწავლილი ფ. ქორიძის შემოქმედებითი გზის ამსახველი დოკუმენტები ევროპის, რუსეთისა თუ ამერიკის არქივებში, სადაც დაცულია XIX საუკუნის საოპერო ცხოვრების ამსახველი საბუთები. ბოლო 150 წლის კულტურული თუ პოლიტიკური ცხოვრების ისტორიას თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა, ასეთი დოკუმენტების მოძიება ადვილი არ იყოს. მაგრამ, ვფიქრობთ, აუცილებელია დაიწყოს ამ მიმართულებით კვლევა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ანთოლოგიის გამოცემა ამ და სხვა მრავალი პრობლემატური საკითხის კვლევის სტიმული გახდება.

¹ ლიტურგიკაში საკამათოდ არის მიჩნეული „პირველშენიერულის ლიტურგიის“ (იგივე „პირველ შენიერულ ძღვენთა“ ან „სინმიდის განახლების“ ლიტურგიის) წმიდა პაპის, გრიგოლ დიდის ავტორობა. თუმცა, რადგანაც ტრადიციულად, მართლმადიდებელი ეკლესია ამ ლიტურგიას მიაწერს წმიდა გრიგოლ დიდს, დიალოგოსს და მას „დიოლოლონის (ან „დიოლოგოსის“, ან „დიალოგოსის“) ნირვა“-ს უწოდებენ, ანთოლოგიაშიც სწორედ ასე ვიხსენიებთ.

II ტომში დაბეჭდილია წმიდა იოანე ოქროპირის ლიტურგიის სვეტიცხოვლის სკოლის² (კარბელაშვილთა სამგალობლო ტრადიციის) საგალობლები — „წმიდაო ღმერთ“-ს, „რაოდენთა ქრისტეს მიერ“-ისა და „ჯვარსა შენსა“-ს ჩათვლით.

II—IV ტომებში შეტანილი საგალობლების წყაროები და მათი თავისებურებები:

1. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის ხელნაწერები:

კარბელაშვილი ვასილ, სანოტო ხელნაწერთა ფონდი. კარბელაშვილის პირადი ფონდი №264.

ანთოლოგიის II—IV ტომებში ამ წყაროს ვიმონებთ, როგორც „სტ. კარბელაშვილის სანოტო არქივი“.

2. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მიხეილ ელიზბარაშვილის ხელნაწერი კრებული:

Q1436 „ქართული გალობა. ლიტურგია იოანე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელთმთავართათვის — გადანერილი მიხეილ პ. ელიზბარაშვილის მიერ. თბილისი 1896 წელი“

ანთოლოგიის II—IV ტომებში ამ წყაროს ვიმონებთ, როგორც „მ. ელიზბარაშვილის ხელნაწერი“.

3. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დავით ჩიჯავაძე-მიხაილოვის ხელნაწერები:

ფონდი „სხვადასხვა“ №50—53. ქართული საეკლესიო საგალობლები იოანე ოქროპირისა, ნოტებზე გადაღებული დავით სოლომონის ძე ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ. 1863 წელი.

ანთოლოგიის II—IV ტომებში ამ წყაროს ვიმონებთ, როგორც „დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის ხელნაწერები“.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ არქივში დაცული პოლიევქტოს და ფილიმონ კარბელაშვილებისა და მათი მოსწავლეების ხელნაწერები:

პოლიევქტოს კარბელაშვილის პირადი არქივი, ფონდი №1461. №188—218 საქმეები.

ანთოლოგიის II—IV ტომებში ამ წყაროს ვიმონებთ შემდეგნაირად: „პ. კარბელაშვილის არქივი (ცენტრ. არქ., ფ. 1461, საქმის №).“

² ქართულ მუსიკოლოგიაში აღიარებულია ჩვენს გალობაში სხვადასხვა სკოლის არსებობა: „საეკლესიო ხელოვნებაში (მის ცალკეულ დარგში) მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის საფუძველზე ამა თუ იმ სკოლის წარმოქმნა ისტორიისთვის ცნობილია. ბუნებრივია, რომ ქართულ საეკლესიო გალობაშიც არსებობდა სხვადასხვა სკოლა — როგორც გარკვეული საკომპოზიციო ტექნიკისა და ესთეტიკური პრინციპის მქონე შემოქმედებითი სისტემა“ (შულღიაშვილი, 2009:26). დ. შულღიაშვილმა პირველმა შემოგვთავაზა ტერმინ „სკოლით“ შეგვეცვალა პრაქტიკაში არსებული, გალობის შტოთა წარმოშობის ან ჩანერის რეგიონთა აღმნიშვნელი გამოთქმები („ქართლ-კახური კილო“, „იმერული გალობა“ და ა.შ.) (შულღიაშვილი, 1991; 2002; 2009). მანვე ჩამოაყალიბა მუსიკალური მასალის ამა თუ იმ სკოლისათვის მიკუთვნებულობის ფაქტურასა და ჰარმონიაზე ორიენტირებული პრინციპები.

აღვნიშნავთ, რომ დ. შულღიაშვილისეულ მიდგომას ჩვენამდე მოსულ საგალობელთა გელათის, სვეტიცხოვლისა და შემოქმედის სკოლებისადმი მიკუთვნებულობის შესახებ ჩვენც ვიზიარებთ, თუმცა, გარკვეული დათქმით — არ უნდა გავიგოთ ისე, რომ თითქოს მხოლოდ ამ სამ სამონასტრო-აკადემიურ ცენტრში იქმნებოდა და ისწავლებოდა გალობა, რომელიც შუა საუკუნეებში საერთო ეროვნულ ტრადიციას წარმოადგენდა.



5. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერები:

პოლიევქტოს კარბელაშვილის არქივი, №2099, 2110, 2111, 2112, 2113 ხელნაწერები (მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ძმები კარბელაშვილებისაგან (ან, სავარაუდოდ, პოლიევქტოს კარბელაშვილისაგან) ჩანერილი საგალობლები).

ანთოლოგიის II—IV ტომებში ამ წყაროს გამოყენებულ ხელნაწერს ვიმონებთ შემდეგნაირად: „მ. იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერი (ფოლკ. ცენტრი, ხელნ. №)“.

6. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული გრიგოლ ჩხიკვაძის ხელნაწერები:

პოლიევქტოს კარბელაშვილის არქივი, №2125-2126 ხელნაწერები; გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ პოლიევქტოს კარბელაშვილისაგან ჩანერილი საგალობლები.

ანთოლოგიის II—IV ტომებში ამ წყაროს გამოყენებულ ხელნაწერს ვიმონებთ შემდეგნაირად: „გრ. ჩხიკვაძის ხელნაწერი (ფოლკ. ცენტრი, ხელნ. №)“.

7. ლუარსაბ ტოგონიძის პირად არქივში დაცული დავით მოლოდინაშვილის ხელნაწერი კრებული:

„ქართული გალობა სამი ხმითა“, დავით მოლოდინაშვილი.

ანთოლოგიის II—IV ტომებში ამ წყაროს ვიმონებთ, როგორც „დ. მოლოდინაშვილის ხელნაწერი“.

II—IV ტომებში, აგრეთვე, დაბეჭდილია საგალობლები შემდეგი გამოცემული კრებულებიდან:

1. ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“ : „მწუხრი“ // ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგ. ძის კარბელოვის მიერ // I ნაწილი // თბილისი : სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1897.

ანთოლოგიის II—IV ტომებში ამ გამოცემას შემდეგნაირად ვიმონებთ: „მწუხრი“ (კარბელაშვილი, 1897).

2. ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“ : „ცისკარი“ // ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგ. ძის კარბელოვის მიერ // II ნაწილი // ტფილისი : ტიპოგრაფია „ცნობის ფურცელი, 1898.


ანთოლოგიის II—IV ტომებში ამ გამოცემას შემდეგნაირად ვიმონებთ: „ცისკარი“ (კარბელაშვილი, 1898).

3. ქართული გალობა (ქართლ-კახური კილოთი) : (ლიტურღია) : ნმ. იოანე ოქროპირის წირვის წესი // მიხეილ მიხეილის ძის იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებზე გადაღებული და დაწერილი მღ.მღ. ძმათა პოლ. და ვას. კარბელაშვილთა, ალ. მოლოდინაშვილის და გრ. მღებრიშვილის დახმარებითა; დედანზედ გამართვა-შესწორებით მღ. ვასილ გრიგოლის ძის კარბელაშვილისათა // გამოც. ალექსანდრე ეპისკოპოსის, ან გურია-სამეგრელოს მწყემსთ-მთავრის წარსაგებელითა // თბილისი : სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1899.

ანთოლოგიის II—IV ტომებში ამ გამოცემას შემდეგნაირად ვიმონებთ: „წირვა“ (კარბელაშვილი, 1899).

4. Аракчиев, Дмитрий (1905). Краткий очерк развития грузинской, карталино-кахетинской, народной песни. О грузинской духовной народной музыке, с приложением напевов на литургии св. Иоанна Златоустаго. Москва: Типография К. Л. Меньшова, 1905.

ანთოლოგიის II—IV ტომებში დ. არაყიშვილის ამ გამოცემას შემდეგნაირად ვიმონებთ: (არაყიშვილი, 1905).



5. Аракчиев, Дмитрий (1916). Грузинское Народное Музыкальное Творчество. (Народная песня Восточной Грузии). С приложением 225 песен в народной гармонизации и 39 инструментальных мелодий. Москва. Оттиски из В т. «Труды Музыкально-Этнографической Комиссии» (МЭК) при Московском университете. Типография Г. Лиснера и Д. Собко, 1916.

ანთოლოგიის II—IV ტომებში დ. არაყიშვილის ამ გამოცემას შემდეგნაირად ვიმონუმებთ: (არაყიშვილი, 1916).

* * *

სტ. კარბელაშვილის არქივში, რვეულები საღვთისმსახურო განგებათა ჰიმნებით და ცალკეული საგალობლების ხელნაწერები უსისტემოდაა შენახული. ასეთივეა პ. კარბელაშვილის არქივიც. შედარებით მცირე მოცულობის მ. იპოლიტოვ-ივანოვის, მ. ელიზბარაშვილის, დ. მოლოდინაშვილისა და გრ. ჩხიკვაძის ხელნაწერები კი, მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია. დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის ხელნაწერებში არის, როგორც ლიტურგიკული თანმიმდევრობით დალაგებული წირვის სამხმიანი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი „სხვადასხვა“, №50) და ოთხხმიანი (იქვე, №51) (შერეული გუნდისათვის გადაკეთებული) საგალობლები, ასევე, უსისტემოდ ჩანერილი და შენახული პარტიტურები თუ ცალკეული ხმების პარტიები (იქვე, №52, 53).

ანთოლოგიის II—III ტომებში დაბეჭდილია ენობრივ-სტილური ერთიანობით გამორჩეული კარბელაშვილთა, იპოლიტოვ-ივანოვის, ელიზბარაშვილის, მოლოდინაშვილისა და ჩხიკვაძის მიერ ნოტირებული იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები, დაჯგუფებული ლიტურგიკული თანმიმდევრობის, სახელწოდებისა და მელოდიურ-ფაქტურული სირთულის მიხედვით.

ანთოლოგიის IV ტომის დასაწყისში ცალკე კორპუსებადაა დაბეჭდილი ჩიჯავაძე-მიხაილოვისა (№1—57) და არაყიშვილის (№58—97) მიერ ნოტირებული იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები, რადგან ისინი მელოდიურ-ფაქტურული სტილით რამდენადმე განსხვავდებიან წინა ნიმუშებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად მიეკუთვნებიან აღმოსავლეთ საქართველოს სვეტიცხოვლის სკოლის სამგალობლო ტრადიციას და დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ „კარბელაანთ“ ტრადიციის გალობასთან. IV ტომის დანარჩენი ნაწილში კი, კვლავ სტ., პ. და ფ. კარბელაშვილების, მ. იპოლიტოვ-ივანოვის, მ. ელიზბარაშვილის, დ. მოლოდინაშვილისა და გრ. ჩხიკვაძის მიერ ნოტირებული ბასილი დიდისა და პირველშენიერულის ლიტურგიების და ჯვრისწერა-მღვდლის კურთხევის ჰიმნებია გამოქვეყნებული.

ქართლ-კახური საგალობლების სანოტო წყაროები შემდეგი თავისებურებებით გამოირჩევა:

ა) ეპისკოპოს სტეფანე კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერთა არქივი (№264). დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

სტეფანე კარბელაშვილის სანოტო ჩანაწერების ფონდი მისი პირადი არქივის მხოლოდ ნაწილია. ამ ფონდში თავმოყრილია მის მიერ სხვადასხვა პერიოდში შესრულებული როგორც თეთრი, ასევე, შავი ხელნაწერები, მრავალი დასრულებული, და, ასევე, დაუსრულებელი და ნაკლული ჰიმნი. ამ ზღვა მასალაში მოცემულია წირვის სამი წესის, მწუხრის, ცისკრის, ჯვრისწერა-მღვდლის კურთხევის, სხვადასხვა დღესასწაულის, ასევე, მიცვალებულთა მსახურებისა და დიდი მარხვის საგალობლები. საგალობლებთან ერთად, სტ. კარბელაშვილის სანოტო არქივში ინახება ხალხური სიმღერების პარტიტურები და, აგრეთვე, სხვადასხვა



მუსიკალური ნიმუშის (ქართული და რუსული საგალობლების, რომანსების...) ხელნაწერი თუ ნაბეჭდი პარტიტურების ფრაგმენტები.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სტეფანე კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერები ორ ყუთში ინახებოდა. აქ ეს მასალა (1000-მდე ფურცელი) უსისტემოდ, შინაარსის გაუთვალისწინებლად იყო დაცული. მსგავსადვეა გაკეთებული პაგინაციაც — მასალის შინაარსისა და თავისებურებების გათვალისწინების გარეშე.

ამ სანოტო არქივის აღწერასა და კლასიფიკაცია-სისტემატიზაციაზე, ლიტურგიკული ფუნქციებისა და საღვთისმსახურო ნეს-განგებათა კუთვნილების მიხედვით, ბოლო რამდენიმე წელია მუშაობს სპეციალისტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთანამშრომლები — ქეთევან ასათიანი, არქივის მცველი ესმა მანია, რესტავრატორი ლელა გოცირიძე და ანთოლოგიის II—IV ტომების შემდგენელ-რედაქტორი სვიმონ ჯანგულაშვილი. დალაგების პროცესთან ერთად, მიმდინარეობს ამ ხელნაწერების რესტავრირებაც.

ამდენად, არქივის მასალების ძველი პაგინაცია, ამჟამად, ფაქტობრივად, გაუქმებულია, ხოლო ახალი ჯერაც დამუშავების პროცესშია, რის გამოც ანთოლოგიის II—IV ტომებში შესულ სტ. კარბელაშვილისეულ საგალობლებზე მითითებული არ არის საარქივო წყაროს კონკრეტული გვერდები.

აღსანიშნავია, რომ სტეფანე კარბელაშვილის მიერ ნოტირებული საგალობლები, ქართლ-კახური გალობის ყველა სხვა სანოტო წყაროსთან შედარებით, მეტი მუსიკალური მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით გამოირჩევა. მის არქივში დაფიქსირებულია, ჰარმონიული და ფაქტურული თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად ურთიერთ-განსხვავებული მრავალი საგალობელი.

ანთოლოგიის II—IV ტომებში გამოქვეყნებული საგალობლების უმრავლესობა სტ. კარბელაშვილის სანოტო არქივიდანაა აღებული. მათში დაბეჭდილია სტ. კარბელაშვილის მიერ ნოტირებული წირვის ყველა, სულ — 435 საგალობელი. მათგან 415 სტ. კარბელაშვილის სანოტო არქივიდან, ხოლო 20 ჰიმნი პ. კარბელაშვილის არქივში დაცული სტ. კარბელაშვილის ხელნაწერებიდანაა აღებული:

II ტომში სტ. კარბელაშვილის სანოტო არქივიდან 234 საგალობელია დაბეჭდილი: №1—3, 5—8, 10, 11, 13—20, 22—23, 27—31, 35, 36, 43, 44, 46, 47, 52—54, 62—70, 107—179, 192—244, 247—251, 277, 279, 281, 283, 285—287, 289, 292, 313—316, 329—331, 334, 339, 341, 345—347, 357—368, 374—376, 381, 382, 385—388, 391, 392, 396—398, 400, 403, 405, 406, 408, 409, 411, 413—415, 417, 418, 420—425, 429—431.

მათგან 20 საგალობლის (№23, 35, 36, 62—70, 244, 329, 334, 341, 391, 392, 408 და 411) მსგავსი ნიმუშები სხვა სანოტო წყაროებშიცაა წარმოდგენილი.

ანთოლოგიის II ტომში დაბეჭდილი, სტ. კარბელაშვილის არქივიდან აღებული 9 ნიმუში ხელნაწერებში ფრაგმენტის სახითაა შემონახული: №19, 20, 347, 422, 423 და 425 საგალობლები ბოლონაკლულია, №36-ა თავნაკლულია, №289 და №292 „მომიხსენენ“-ის მხოლოდ სანყისი და ბოლო მუხლებია ჩანერილი.

ამ ნიმუშებიდან ზოგიერთი აუთენტური სახითაა გადმოტანილი II ტომში, ხოლო ზოგიერთი ჰიმნის დაკლებული ნაწილები ჩვენ, სხვა, მსგავსი საგალობლების მიხედვით გავანყეთ.

II ტომის სტ. კარბელაშვილისეული საგალობლებიდან ზოგიერთის ხელნაწერში სამივე ხმა სრულყოფილად არაა ნოტირებული. ხელნაწერებში ჩანერილია №1, 2,



387, 388, 396 და 403 ნიმუშების მხოლოდ I ხმა, №400-ის I და III ხმები, №385 ნიმუშის მხოლოდ II ხმა. ხელნაწერებში ბოლომდე არაა ჩანერილი №415, 425 და 431 ნიმუშების II ხმა და №403-ის II-III ხმები.

ეს საგალობლები წინამდებარე ტომში ჩვენ მიერ შეწყობილი ხმებით არიან წარმოდგენილნი.

II ტომში მოცემულ სტ. კარბელაშვილისეულ ნიმუშებს შორის მითვლილია №351 საგალობელიც, რომელიც პ. კარბელაშვილის პირად არქივში დაცული სტ. კარბელაშვილის ხელნაწერიდანაა.

III ტომში სტ. კარბელაშვილის არქივიდან 138 საგალობელია დაბეჭდილი: №4, 6, 12, 17, 21, 26, 59, 80—82, 132, 137—139, 141, 145, 168, 169, 178—185, 191—196, 206—208, 212—218, 220—223, 225—238, 260, 261, 264—266, 269, 271, 272, 274, 276, 278—287, 306—312, 320, 322—338, 344, 346—348, 361—353, 356—359, 362—364, 366, 372, 379, 391, 398, 403, 407, 408, 413, 416, 420, 425—428, 439—441.

ამათგან 36 საგალობლის (№80, 137, 138, 141, 143, 145, 168, 194, 195, 196, 222, 223, 271, 274, 276, 281—286, 338, 351, 352, 356—359, 364, 366, 391, 398, 403, 407, 408, 420) იდენტური ნიმუშები სხვა სანოტო წყაროებშიცაა წარმოდგენილი.

III ტომში დაბეჭდილი, სტ. კარბელაშვილის არქივიდან აღებული 7 ნიმუში ხელნაწერებში ფრაგმენტის სახითაა შემონახული: №212, 213 220, 221, 278, 279, 337 საგალობლები ბოლონაკლებია.

ამ ნიმუშებიდან ზოგიერთი აუთენტური სახითაა გადმოტანილი III ტომში, ხოლო ზოგიერთი ჰიმნის დაკლებული ნაწილები, ჩვენ სხვა, მსგავსი საგალობლების მიხედვით გავაწყეთ.

III ტომის სტ. კარბელაშვილისეული საგალობლებიდან ზოგიერთის ხელნაწერში სამივე ხმა სრულყოფილად არაა ნოტირებული. ხელნაწერებში ჩანერილია №6, 12, 21, 231, და 232 ნიმუშების მხოლოდ I ხმა, №59, 179, 225 საგალობლების I და III ხმები. ხელნაწერებში ბოლომდე არაა ჩანერილი №17 და №26 საგალობლების II-III ხმები.

ეს საგალობლები წინამდებარე ტომში ჩვენ მიერ შეწყობილი ხმებით არიან წარმოდგენილნი.

ანთოლოგიის IV ტომში სტ. კარბელაშვილის არქივიდან გადმოტანილია 43 საგალობელი: №116—118, 141, 142, 101, 104, 158, 159, 168, 175, 176, 181—183, 213—218, 220—239, 245, 246.

IV ტომის სტ. კარბელაშვილისეული საგალობლებიდან ზოგიერთის ხელნაწერში სამივე ხმა არაა ჩანერილი. ხელნაწერებში ჩანერილია №141, 142, 245 და 246 ნიმუშების მხოლოდ I ხმა, №101 და №218 ნიმუშების I და III ხმები, ბოლომდე არაა ნოტირებული №176, 217 და 223 საგალობლების II ხმა, №214-215 საგალობლების მხოლოდ II ხმის პარტიაა ჩანერილი (ამასთან, №215 ბოლონაკლებია). ეს საგალობლები წინამდებარე ტომში ჩვენ მიერ შეწყობილი ხმებით არიან წარმოდგენილნი.

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ არქივში დაცული დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის პირადი არქივი (ფონდი №1461).

საგალობელთა სანოტო ხელნაწერები ამ არქივის 188—218 „საქმეებს“ წარმოადგენენ. მთლიანობაში, პოლიევქტოს კარბელაშვილის არქივში 500-მდე ფურცელი სანოტო მასალაა დაცული.

ეს არქივიც არაერთგვაროვანია — ხელნაწერთა ავტორები არიან პოლიევქტოს, ფილიმონ (პოლიევქტოსის ძე) და სტეფანე კარბელაშვილები, აგრეთვე, მათი



მოსწავლეები. საგალობლები სხვადასხვა ზომის ან მოცულობის რვეულებსა და ცალკეულ ფურცლებშია ჩანერილი განსხვავებული სანერი მასალით. აქ მოცემულია როგორც თეთრი, ასევე, შავი, გაურკვეველი ხელნაწერები. სამწუხაროდ, არქივირებისას ეს განსხვავებული მასალა მისი შინაარსისა და თავისებურებების გათვალისწინების გარეშე აუკინძავთ.

აღსანიშნავია, რომ პ. კარბელაშვილის არქივში დაცულია რიგი საგალობლები, რომლებიც ქართული გალობის სხვა არც ერთ სანოტო წყაროში არ გვხვდება.

ამ არქივში, ასევე, ინახება: რუსული საგალობლების ნოტები; რუსი კომპოზიტორის, ნ. კლენოვსკის მიერ ქართული საგალობლების მელოდიების დამუშავების საფუძველზე შექმნილი წირვის (მხატვრული თვალსაზრისით, რამდენადმე ნაკლებად ღირებული) საგალობელთა კრებული და ფ. კარბელაშვილის მიერ გადაწერილი, შერეული ოთხხმიანი გუნდისათვის დამუშავებული წირვის საგალობლები (საქმე №288).

პოლიევექტოს და ფილიმონ კარბელაშვილების მიერ ნოტირებული ჰიმნები პოლიფონიისა და ჰარმონიული ენის სიმარტივით გამოირჩევა და მსგავსია სტეფანე კარბელაშვილის არქივში არსებული ფაქტურულად, შედარებით, „სადა“ საგალობლებისა.

ანთოლოგიის II—IV ტომებში შეტანილია პოლიევექტოს კარბელაშვილის არქივში შემონახული წირვის სამივე წესისა და მღვდლის კურთხევისა და ქორწინების განგებების 132 (ფაქტობრივად, ყველა) ნიმუში:

II ტომში პ. კარბელაშვილის არქივიდან (ცენტრ. არქ., ფ. 1461) 54 საგალობელია დაბეჭდილი: №4, 24, 33—36, 38, 39, 51, 62—70, 53, 288, 293—309, 329, 336, 349, 351, 355, 356, 369, 371, 372, 377, 380, 389, 392, 393, 401, 407, 412, 426, 432.

მათგან 20 საგალობლის (№24, 35, 36, 62—70, 329, 336, 355, 369, 371, 372, 392, 407) მსგავსი ნიმუშები სხვა სანოტო წყაროებშიცაა წარმოდგენილი.

II ტომის პ. კარბელაშვილისეული საგალობლებიდან ზოგიერთის ხელნაწერში სამივე ხმა სრულყოფილად არაა ნოტირებული. ხელნაწერებში ჩანერილია №300—303, 349, 377 და 380 ნიმუშების მხოლოდ I ხმა, №38, 39 და 294—299 ნიმუშების II ხმა, №304—309 და 393 საგალობლების II-III ხმები და №293 ჰიმნის მხოლოდ ბანის პარტია.

ეს საგალობლები წინამდებარე კრებულში ჩვენ მიერ შეწყობილი ხმებით არიან წარმოდგენილნი.

წინამდებარე ტომის №288 საგალობელი ჩვენი გადამუშავებულია ტრადიციული, სამხმიანი გუნდისათვის. ეს ჰიმნი პ. კარბელაშვილის არქივში დაცულ ფ. კარბელაშვილისეულ ხელნაწერში ჩანერილია ოთხ ხმიანი შერეული გუნდისათვის არანაყოფიერი სახით.

პ. კარბელაშვილის არქივში დაცულია №351 საგალობლის, სავარაუდოდ სტ. კარბელაშვილისეული ხელნაწერი. ხელნაწერში საგალობელი ბოლომდე არაა ჩანერილი, მაგრამ მითითებულია მისი ინტონაციური წყარო, რომლის მიხედვითაცაა განწყობილი ეს ჰიმნი ჩვენ მიერ.

III ტომში პ. კარბელაშვილის არქივიდან (ცენტრ. არქ., ფ. 1461) 70 საგალობელია დაბეჭდილი: №1, 8, 13, 18, 22, 27, 35, 41, 45, 48, 51, 55, 58, 62, 66, 72—76, 80, 131, 145, 146, 186—190, 197—199, 273, 281—286, 288, 338, 339, 351, 356, 359, 364, 368, 376, 380, 385—387, 392, 397, 399, 404, 409, 415, 418, 434, 435, 442—450.



მათგან 36 საგალობლის (№80, 197—199, 281—286, 288, 338, 351, 356, 359, 364, 368, 376, 387, 391, 392, 397, 399, 404, 409, 415, 418, 434, 442—450) მსგავსი ნიმუშები სხვა საანოტო წყაროებშიცაა წარმოდგენილი.

III ტომის პ. კარბელაშვილისეული საგალობლებიდან ზოგიერთის ხელნაწერში სამივე ხმა სრულყოფილად არაა ნოტირებული. ხელნაწერებში ჩანერილია №8, 13, 18, 22, 27, 35, 41, 45, 48, 51, 55, 58, 62, 66, 72—76, 442—450 ნიმუშების მხოლოდ I ხმა და №434 საგალობლის მხოლოდ II ხმა.

მინაწერის მიხედვით, პ. კარბელაშვილის არქივში დაცული 19 საგალობლის — №13, 18, 22, 27, 35, 41, 45, 48, 51, 55, 58, 62, 66, 72—76 ნიმუშების ხელნაწერი, სავარაუდოდ არა პოლიევექტოსის ან ფილიმონის, არამედ სტეფანე კარბელაშვილის მიერაა შესრულებული. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ, გამოდის, რომ III ტომში პ. კარბელაშვილისეული 51, ხოლო სტ. კარბელაშვილისეული 157 საგალობელია.

ანთოლოგიის IV ტომში პ. კარბელაშვილის არქივიდან დაბეჭდილია 23 ნიმუში: №119, 124, 132, 136, 140, 143, 144, 177, 178, 184, 185, 188, 190, 200, 201, 240—244, 249, 251, 252. მათგან ხელნაწერებში ნოტირებულია: №154 ნიმუშის მხოლოდ I ხმა, №124, 132, 136, 140, 143, 144 (ბოლონაკლულია) და 244 ნიმუშების I და III ხმები, №200-201 საგალობლების მხოლოდ II ხმა, №119, №177-178 (ეს ორი ნიმუში ბოლონაკლულია), 185, 188, 190 საგალობლების მხოლოდ ბანის პარტია.

გ) ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული, მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტირებული საგალობლები. ხელნაწერები №2099, 2110, 2111, 2112, 2113 (საინვენტარო №16/14, 25—28). ცნობილია, როგორი მნიშვნელოვანია ქართული კულტურისა და, გამორჩეულად, ქართული გალობის წინაშე რუსი კომპოზიტორის, მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ გაწეული ღვაწლი. ქართული გალობის ნოტირების I ეტაპზე, სწორედ ის იწერდა საგალობლებს ძმები კარბელაშვილებისაგან. მის მიერ ჩანერილი იოანე ოქროპირის ლიტურგიის საგალობლები, რედაქტირებული სახით, გამოსცა სტეფანე კარბელაშვილმა 1899 წელს. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, პ. კარბელაშვილის არქივში დაცული რუსულ-ენოვანი³ ხელნაწერების იპოლიტოვ-ივანოვისადმი კუთვნილება გამოიკვლია და დაადასტურა დ. შულლიაშვილმა (შულლიაშვილი, წერეთელი, 2012:X-XI). ასევე, დ. არაყიშვილიც, საგალობელთა კრებულის (არაყიშვილი, 1905) შესავალ-კვლევით წერილში, აღნიშნავს, რომ მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტირებული საგალობლების ხელნაწერები პ. კარბელაშვილთან ინახებოდა.

მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტირებული საგალობლები გამოირჩევა ფაქტურული სისადავით (I-II ხმების, ძირითადად, ტერციული და I—III ხმების კვინტური ან ოქტავური პარალელიზმით) და სტ. კარბელაშვილისეულ ჩანაწერებთან შედარებით, ალტერაციის არასაგასაღებო ნიშნების მეშვეობით კილოურ მოდულაცია-გადახრათა ნაკლებობით. აღსანიშნავია, რომ მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ჩანერილი ოქროპირის წირვისა და ჯვრისწერა-ხელდასხმის საგალობლები, ფაქტობრივად, ბოლომდე იდენტურია ცენტრალურ არქივში დაცულ, პ. კარბელაშვილის პირადი არქივის საქმე №202-ში მოცემული წირვის საგალობლებისა. ასევე, განსაკუთრებული სიახლოვეა ამ ორ წყაროში მოცემულ ჰიმნებსა და სტ. კარბელაშვილისეულ, ფაქტურულად „სადა“ საგალობლებს შორისაც.

³ უფრო სწორად, ამ ხელნაწერებში მხოლოდ საგალობელთა სათაურებია ჩანერილი რუსულად, ხოლო საგალობელთა ქართული პოეტური ტექსტები რუსული ასოებითაა ჩანერილი.



მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტირებულ საგალობელთა კილოურ მხარეს, ალტერაციის ნიშნებს, ფაქტობრივად, რედაქტირება-ცვლილებები არ სჭირდება (პრინციპში, როგორც „კარბელაანთ გალობის“ ჩანაწერთა უმრავლესობას). ამასთან, მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტირებულ ზოგიერთ ნიმუშში ფიქსირდება კილოური ასპექტით სტ. კარბელაშვილისეულ ჩანაწერთაგან განსხვავებული და პ. კარბელაშვილისა და გრ. ჩხიკვაძის ჩანაწერების მსგავსი ვარიანტებიც, რომელთაც ჩვენ უშუალოდ კონკრეტულ საგალობლებთან წარმოვადგენთ.

ანთოლოგიის II—IV ტომებში მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტირებული 72 საგალობელია. აქედან 60 ნიმუში, იდენტურობის გამო, სხვა წყაროებიდან აღებულ ჩანაწერებთან ერთად, ერთ პარტიტურად არის დაბეჭდილი:

ანთოლოგიის II ტომში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული მ. იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერებიდან (ფოლკ. ცენტრი, ხელნ. №2099, №2111, №2112) 24 საგალობელია შეტანილი. ეს საგალობლები განსაკუთრებით მსგავსია სტ. კარბელაშვილის სანოტო არქივში არსებული მარტივი საგალობლებისა და აგრეთვე, პ. კარბელაშვილის არქივსა (ცენტრ. არქ., ფ. 1461) და გრ. ჩხიკვაძის ხელნაწერებში (ფოლკ. ცენტრი, ხელნ. №2125, №2126) დაცული ჰიმნებისა. ამიტომ, მ. იპოლიტოვ-ივანოვისეული ნიმუშები ხსენებული წყაროებიდან აღებულ ნიმუშებთან ერთ პარტიტურებშია დაბეჭდილი 23, 24, 50, 62—70, 244, 280, 329, 334, 341, 355, 392, 408, 411 და 433 ნომრებად, ორი გამონაკლისის — №370 და 427 ჰიმნების გარდა.

III ტომში ამ წყაროდან 34 ჰიმნია გადმოტანილი, ისინიც სტ. კარბელაშვილისეულ მარტივ, გრ. ჩხიკვაძის მიერ ჩაწერილ და პ. კარბელაშვილის არქივში დაცულ საგალობლებთან განსაკუთრებული მსგავსებით გამოირჩევიან. ამიტომ, №321 საგალობლის გარდა, მ. იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერებიდან აღებული ყველა ნიმუში სხვა წყაროებიდან გადმოტანილ ნიმუშებთან ერთადაა წარმოდგენილი — 2, 80, 137, 141, 143, 145, 194—196, 267, 274, 281—286, 288, 338, 351, 352, 356, 359, 364, 368, 376, 387, 397, 399, 404, 409, 415, 418 და 434 ნომრებად.

მ. იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერებიდან ანთოლოგიის **IV ტომში** 14 საგალობელია დაბეჭდილი. II-III ტომების მსგავსად, მათი ნაწილი (№98, 139, 179, 243, 250) სხვა წყაროებში მოცემულ ნიმუშებთან ერთადაა დაბეჭდილი. ცალკეა გამოქვეყნებული №103, 112, 149—151, 202—205 საგალობლები.

დ) გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ პოლიევქტოს კარბელაშვილისაგან ჩაწერილი საგალობლები. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, ხელნაწერები №2125-2126; საინვენტარო №16/40-41.

გრ. ჩხიკვაძის და გ პუნქტში მოკლედ აღწერილი მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტირებული საგალობლები 2012 წელს გამოსცეს დ. შულლიაშვილმა, ზ. წერეთელმა და ლ. ვეშაპიძემ (შულლიაშვილი, წერეთელი, 2012). უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ხალხური შემოქმედების მეთოდცენტრის დირექტორის, ცისანა ქოჩჩიაშვილისა და ლუარსაბ ტოგონიძის თანადგომით, ჩხიკვაძის მიერ ჩაწერილი წირვის საგალობლები უკვე შეტანილი გვექონდა, ხსენებულ გამოცემამდე (შულლიაშვილი, წერეთელი, 2012) რამდენიმე წლით ადრე დასაბეჭდად მომზადებულ კრებულში (ანთოლოგიის II—IV ტომებში), რომლის გამოცემაც მხოლოდ მიმდინარე წელს მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ გ და დ პუნქტებში მოხსენიებული საგალობლები უკვე გამოცემულია ანჩისხატის გუნდელთა მიერ, ანთოლოგიის კონცეფციიდან გამომდინარე,⁴

⁴ მხედველობაში გვაქვს კონცეფციის ამოსავალი პრინციპი, რომლის თანახმად, გამოცემამ თავი უნდა მოუყაროს ქართული სამგალობლო ტრადიციის ყველა საგალობელს.



მიზანშეწონილად მივიჩნით, II—IV ტომებში დაგვეტყუდა მათში მოცემული წირვის სამივე წესისა და ხელდასხმა-ჯვრისწერის საგალობლები. ამ წყაროებში დაცული სხვა საგალობლები სრულად განთავსდება ანთოლოგიის შემდგომ ტომებშიც.

ამასთან, ძმები კარბელაშვილებისაგან სხვადასხვა პერიოდში გადმოცემული საგალობლების ერთად გამოცემა საჭიროდ მივიჩნით იმიტომაც, რომ, ერთი მხრივ, წარმოჩენილიყო ერთ სამგალობლო ოჯახში, ერთ ტრადიციაში ფაქტურული და ჰარმონიული აზროვნების მთელი მრავალფეროვნება და, მეორე მხრივ, საგალობელთა (ანჩისხატელთა და ჩვენი) რედაქტირების, ზოგიერთ შემთხვევაში, განსხვავებული მეთოდოლოგიაც.

ჩხიკვაძის ჩანერილი საგალობლები ფაქტურული და ჰარმონიული სისადავითა და მელოდიური თვალსაზრისით, იპოლიტოვ-ივანოვისა და პ. და ფ. კარბელაშვილების მიერ ნოტირებული ჰიმნების, აგრეთვე, სტ. კარბელაშვილის ნოტირებული, ფაქტურულად „სადა“, მარტივი საგალობლების იდენტურია.

II ტომში გრ. ჩხიკვაძის მიერ პ. კარბელაშვილისაგან ჩანერილი 8 საგალობელია: №37, 42, 50, 337, 342, 394, 407, 433.

III ტომში გრ. ჩხიკვაძის მიერ ნოტირებული 11 ნიმუშია: №197—199, 268, 289—291, 341, 364, 376, 433.

IV ტომში გრ. ჩხიკვაძის მიერ ნოტირებული 5 საგალობელია მოცემული: №98, 102, 113, 139, 179.

გრ. ჩხიკვაძის მიერ ჩანერილი ამ 24 ნიმუშიდან რამდენიმე ზედმიწევნით მსგავსია სხვა წყაროებში დაფიქსირებული ნიმუშებისა და ამიტომ, ანთოლოგიის II-IV ტომებში მათთან ერთად, ერთ პარტიტურად არის დაბეჭდილი.

ე) ძმები კარბელაშვილების თანამგალობლის — დეკანოზ ალექსანდრე მოლოდინაშვილის ვაჟიშვილის, **დავით მოლოდინაშვილის ხელნაწერი სანოტო კრებული „ქართული გალობა სამი ხმითა“**. დაცულია ქართული კულტურის მკვლევრის — ლუარსაბ ტოგონიძის პირად არქივში.

ალექსანდრე მოლოდინაშვილი გახლდათ ძმები კარბელაშვილების მამისა და მასწავლებლის — გრიგოლ კარბელაშვილის მოწაფე. მისი ვაჟიშვილის მიერ ნოტირებულია წირვის, ასევე, სხვადასხვა საღვთისმსახურო წეს-განგებებისა და დღესასწაულის რიგი ჰიმნები. ეს მასალა ფაქტურული და ჰარმონიული სისადავით იდენტურია პ. და სტ. კარბელაშვილების შედარებით „სადა“ საგალობლებისა.

ამ წყაროდან ანთოლოგიის II—IV ტომებში შეტანილია წირვის 67 საგალობელი. II—IV ტომებში არ შევიდა დ. მოლოდინაშვილის კრებულში მოცემული სხვა განგებების თუ საღვთისმსახურო ჰიმნები. ისინი სვეტიცხოვლის სკოლის, „კარბელაანთ“ ტრადიციის იდენტურ საგალობლებთან ერთად, შესაბამის ტომებში დაიბეჭდება.

ანთოლოგიის II ტომში დ. მოლოდინაშვილის ხელნაწერიდან 21 საგალობელია მოცემული: №12, 26, 49, 78—84, 246, 280, 332, 338, 343, 367, 368, 395, 410, 428, 434.

III ტომში ამავე წყაროდან 37 საგალობელია წარმოდგენილი: №133—135, 147, 200—202, 224, 256—259, 262, 267, 277, 292—298, 340, 349, 350, 354, 355, 367, 369, 377, 388, 396, 400, 405, 411, 419, 436.

IV ტომში დ. მოლოდინაშვილის ხელნაწერიდან 9 საგალობელია გამოქვეყნებული: №100, 115, 206—212.

ვ) ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული **მიხეილ ელიზბარაშვილის ხელნაწერი კრებული Q1436: „ქართული გალობა. ლიტურგია იოანე ოქროპირისა,**



მღვდლისა და მღვდელთმთავართათვის — გადანერილი მიხეილ პ. ელიზბარაშვილის მიერ. თბილისი 1896 წელი“.

ეს კრებული, თავისი ხასიათითა და ლიტურგიკულ-ჟანრობრივი სისტემატიზაციით მსგავსია დ. მოლოდინაშვილის კრებულისა. მასშიც წირვის სამი წესისა და, აგრეთვე, წლის სადღესასწაულო თუ მარხვათა ციკლების რიგი ჰიმნებია შეტანილი.

მ. ელიზბარაშვილი იყო სტ. კარბელაშვილის მოსწავლე, შემდგომში გალობის ცნობილი მასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ სტ. კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერთა არქივში დაცულია რამდენიმე საგალობლის ხელნაწერი პარტიტურა, რომლებიც მ. ელიზბარაშვილის მიერაა ჩაწერილი. როგორც ჩანს, მათ მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

ელიზბარაშვილის მიერ ნოტირებულ საგალობლებში შედარებით მეტი მელოდიური ინიციატივითა და ფუნქციური დატვირთვით გამოირჩევა II ხმა, რითაც გაზრდილია საგალობელთა ფაქტურის პოლიფონიურობა. ამასთან, მ. ელიზბარაშვილის ჩაწერილი ჰიმნების დიდი უმრავლესობა, მელოდიურ-პოლიფონიური განვითარებით, მაინც ჩამორჩება სტ. კარბელაშვილის მიერ ნოტირებულ ნიმუშებს.

ამ წყაროდან ანთოლოგიის II—IV ტომებში შევიტანეთ, მხოლოდ წირვის სამი წესისა და ხელდასხმა-ჯვრისწერის 78 საგალობელი. სხვა განგებათა საგალობლები, ჩვენი ანთოლოგიის სპეციალურ ტომებში გამოქვეყნდება — „კარბელაანთ“ გალობის იმავსახელიან ნიმუშებთან ერთად.

II ტომში მ. ელიზბარაშვილის ხელნაწერიდან 25 საგალობელია გადმოტანილი: №9, 25, 40, 41, 48, 71—77, 245, 278, 282, 329, 335, 344, 361, 362, 373, 383, 391, 408, 416.

III ტომში ამ წყაროდან წარმოდგენილია 36 საგალობელი: №3, 79, 138, 142, 168, 203—205, 222, 223, 263, 271, 275, 299—305, 342, 352, 357, 358, 360, 366, 381, 390, 397, 401, 407, 408, 412, 420, 432, 438.

IV ტომში მ. ელიზბარაშვილის ხელნაწერიდან დაბეჭდილია 17 საგალობელი: №99, 114, 153, 170—173, 175, 180, 192—199.


II-IV ტომებში მოცემული მ. ელიზბარაშვილისეული ჰიმნებიდან ზოგიერთი ზედმიწევნით მსგავსია სხვა წყაროებში ნოტირებული ნიმუშებისა და ამიტომ, მათთან ერთად, ერთ პარტიტურად არის დაბეჭდილი.

ზ) რუსი კომპოზიტორის, მიხაილ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტირებული და სტ. კარბელაშვილის რედაქციით (ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძის დაფინანსებით) გამოქვეყნებული „წირვა“ (კარბელაშვილი, 1899).⁵

ამ კრებულში შესული 46 საგალობელი ჩვენ სრულად შევიტანეთ ანთოლოგიის II—III ტომებში. ლმობიერებითა და სულიერებით აღსავსე, ფართოდ ცნობილი ეს ჰიმნები გამოირჩევა სვეტიცხოვლის სკოლის გალობისათვის დამახასიათებელი ყველა სტილური ნიშნით — ფუნქციურად დანიშნურებული მოძახილის მდიდარი მელოდიური მოძრაობით, კილოურ გადახრა-მოდულაციათა სიჭარბით, ინტენსიური მხატვრულ-ემოციური ენერგეტიკით.

II ტომში ამ კრებულიდან (კარბელაშვილი, 1899) 16 საგალობელია დაბეჭდილი: №55—61, 244, 274, 278, 329, 333, 363, 364, 384, 390.

⁵ კრებული ხელმეორედ გამოიცა მ. ერქვანიძის რედაქციით 2005 წელს (ერქვანიძე, 2005).



III ტომში „წირვიდან“ 33 საგალობელია შეტანილი: №2, 78, 136, 140, 168, 209—211, 263, 270, 276, 313—319, 343, 352, 357, 358, 361, 365, 378, 389, 398, 402, 406, 410, 421, 431, 437

აღსანიშნავია, რომ „წირვაში“ 48 საგალობელია, რომლებიც 46 ნომრად არის მოცემული — „და ვითარცა“-ს წინა (III ტომის №210) „ამინ“ და საგალობელი „გვაქვს უფლისა მიმართ“ (III ტომის №315) „წირვაში“ ცალკე დანომრული არაა. ამასთან, ანთოლოგიის II ტომში №274-ად ცალკეა დაბეჭდილი III ტომის №402 „აღავსე“-ს „ამინ“. საბოლოოდ, გამოვიდა, რომ „წირვისეული“ საგალობლები ანთოლოგიის II-III ტომებში 49 ნომრადაა წარმოდგენილი.

თ) ვასილ (იგივე სტეფანე) კარბელაშვილის მიერ გამოცემული „მწუხრი“ (კარბელაშვილი, 1897) და „ცისკარი“ (კარბელაშვილი, 1898).⁶

ამ კრებულებში შესული საგალობლები ზ პუნქტში აღწერილი, კარბელაშვილთა „წირვაში“ მოცემული ჰიმნების მსგავსია და, რიგ შემთხვევებში, მათზე მეტად „გამშვენებული“ II ხმის მელოდიური ფიგურაციებითა და პოლიფონიზებული ფაქტურითაც გამოირჩევა. „მწუხრიდან“ და „ცისკრიდან“ ანთოლოგიის II—IV ტომებში 94 საგალობელია შეტანილი. დანარჩენი საგალობლები კი, მწუხრისა და ცისკრის ჟამების ქართლ-კახური საგალობლებისადმი მიძღვნილ ტომში დაიბეჭდება.

II ტომში სტ. კარბელაშვილის მიერ გამოცემული „მწუხრიდან“ გადმოტანილია (კარბელაშვილი, 1897) 12 საგალობელი: №85—95, 273; ხოლო „ცისკრიდან“ (კარბელაშვილი, 1898) — 39 საგალობელი: №6, 32, 45, 96—106, 180—191, 253—260, 266, 268, 419, 435, 436.

III ტომში დაბეჭდილია: „მწუხრიდან“ აღებული 16 (№130, 170—177, 243—255, 414, 417, 422, 432) და „ცისკრიდან“ აღებული 15 (№151—157, 162—166, 345, 382, 383) საგალობელი.

IV ტომში დაბეჭდილია: „მწუხრიდან“ აღებული 10 (№105, 107, 120—123, 167—169, 174) და „ცისკრიდან“ აღებული 2 (№146-147) საგალობელი.

ი) ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დავით ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ 1863 წელს ნოტირებული საგალობლები (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი „სხვადასხვა“, №50—53).

ბევრ სხვა ნიმუშთან ერთად, ამ ჰიმნთა პუბლიკაცია პირველად ხდება ჩვენი ანთოლოგიის ფარგლებში (კერძოდ, IV ტომში). ეს საგალობლები ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი პირველი ნიმუშია ნოტირებული ქართული გალობისა. მათზე ყურადღებას ამახვილებდნენ ცნობილი ქართველი ფოლკლორისტი — ოთარ ჩიჯავაძე (ხელნაწერების ანოტაციაში, იხ. IV ტომის შესავალში) და დ. შულღიაშვილი (შულღიაშვილი, 2014:13).

დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ ნოტირებულია აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლ-კახური სამგალობლო ტრადიციის ნიმუშები. ერთი მხრივ, საგალობელთა მელოდიებსა თუ კომპოზიციის გამომსახველ სხვა ელემენტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ისინი მეტად ახლოს არიან „კარბელაანთ“ ტრადიციის გალობასთან, განსაკუთრებით, ამ ტრადიციის ფაქტურულად „სადა“ ნიმუშებთან. მეორე მხრივ კი, ცხადად ჩანს, რომ ამ წყაროში დაცული საგალობლები მელოდიურ-ფაქტურული და ჰარმონიული მეტყველების ორიგინალობით გამოირჩევიან.

ამ საგალობლებში დიდია მსგავსება, როგორც კარბელაშვილების ტრადიციის ნიმუშებთან, ასევე, გელათის სკოლის „სადა“ გალობის პოლიფონიურ-მელოდიურ პარადიგმასთანაც. ამავე დროს, სისადავით გამორჩეულ ჩიჯავაძე-მიხაილოვის

⁶ ამ კრებულებიდან რიგი საგალობლები, ასევე, 2005 წელს მ. ერქვანიძემ გამოსცა (ერქვანიძე, 2005).



ჩანაწერებში გვხვდება რამდენიმე ნიმუშიც „გამშვენებული“ საგალობლისა (მაგალითად, №16⁷ „რომელნი ქერუბიმთა“ ან №29 „განიცადე“), რომლებშიც განვითარებული ხმათასვლისა და პოლიფონიური ნაგებობების სიჭარბე აღძრავს გელათის სკოლის „გამშვენებული“ ჰიმნების ალუზიებს.

სისადავისა და პოლიფონიური განვითარების დიალექტიკითა და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციების არქაული ერთიანობით ნიშანდებული ეს საგალობლები აშკარად მიგვანიშნებენ ძველ საქართველოში გალობის სტილურ-ინტონაციურ მრავალფეროვნებაზე.

დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ საგალობლები ნოტირებულია გასაღებში მოცემული სხვადასხვა მეტრული საზომით, ტაქტებად. როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, ყველა ასეთი ნიმუში, თავისუფალი მეტრითაა დაბეჭდილი ანთოლოგიაში.

დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის ხელნაწერები 4 ნაწილად არის შენახული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ფონდ „სხვადასხვა“-ს №50-ში იოანე ოქროპირის წირვის წესის ტრადიციული, სამხმიანი საგალობლებია ჩანერილი. ეს 30 ჰიმნი სრულადაა შეტანილი ანთოლოგიის IV ტომში, 1—30 ნომრებად.

ფონდ „სხვადასხვა“-ს №51-ში ჩანერილია იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები, თავად დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ გადაკეთებულნი ოთხხმიანი შერეული გუნდისათვის. ხოლო ფონდ „სხვადასხვა“-ს №52-53-ში შეტანილია შავი, დაულაგებელი მასალა — ფრაგმენტულად ჩანერილი სამხმიანი თუ ოთხხმიანი საგალობლები და დიდი რაოდენობით — ოთხხმიან საგალობელთა ცალკეული ხმების პარტიები.

დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ ოთხხმიანი შერეული გუნდისათვის გადაკეთებული საგალობლების ფაქტურულ-მელოდიური სტრუქტურა, ნაწილობრივ მოგვაგონებს სტ. კარბელაშვილის მიერ ნოტირებულ სამზე მეტხმიან საგალობლებს. თუმცა, მათზე უფრო მეტად, ტრადიციული მელოდიის თავისუფალი არანჟირებით აგებული ჩიჯავაძისეული ოთხხმიანი საგალობლების ინტონაცია, ჩამოჰგავს „პარტესულ“ რუსულ საგალობლებს — რამდენადმე პრიმიტიული „ლივლივით“ ტონალურ ფუნქციებზე, მკვეთრი ჰარმონიული კონტრასტების გარეშე.

ამასთან, ჩიჯავაძე-მიხაილოვისეული ოთხხმიანი საგალობლების ზედა ხმაში მოცემულია მარტივი, რამდენადმე არქაული, ტრადიციული მელოდიები, რომლებიც მსგავსია როგორც აღმოსავლეთ, ასევე, დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციების „სადა“ ჰანგებისა. ამ მხრივ, ქართული სამგალობლო ჰანგების ეს ერთ-ერთი უძველესი (ო. ჩიჯავაძის ცნობით — 1863 წელს შესრულებული) ჩანაწერები მეტად დიდ ფასეულობას წარმოადგენს — ქართული გალობისა და მისი ისტორიის კვლევისათვის.

დ. ჩიჯავაძის ჩანაწერებში ოთხხმიანი საგალობლები დაცულია როგორც პარტიტურების, ასევე, ცალკეული ხმებისათვის ამონერილი პარტიებისა და შავი ჩანაწერების სახით. პარტიები და შავი ჩანაწერები იდენტურია — მათში ალტი ტერციით მიყვება სოპრანოს, ტენორი და ბანი ტონალური მუსიკისა და რუსული პარტესული გალობის აკორდული ფაქტურისათვის სახასიათო სვლებითაა აგებული — ტონიკასა და დომინანტას შორის კვარტა-კვინტური ნახტომებით, ოქტავური გაორმაგებებით (განსაკუთრებით კადანსებში). პარტიტურის სახით ჩანერილ წირვის

⁷ დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ ნოტირებული საგალობლები მხოლოდ ანთოლოგიის IV ტომშია წარმოდგენილი, ამიტომ, წინამდებარე შესავალში, ყოველთვის, როდესაც ჩიჯავაძისეული ნიმუშების ნომრებს ვასახელებთ, აღარ ვუთითებთ და იგულისხმება, რომ ნუმერაცია ანთოლოგიის IV ტომისაა.



კრებულში კი, იმავე მელოდიაზე შეწყობილი ქვედა სამი ხმის ინტონაციები ცოცხალი განსხვავებულია — ალტი დაახლოებით იმავე სტილში ეწყობა სოპრანოს, როგორც სტ. კარბელაშვილის მიერ ნოტირებულ სამზე მეტ-ხმიან საგალობლებში — სოპრანოსა და ალტს შორის ხშირია მცირე მოტივურ ნაგებობათა საპირისპირო სვლები და გადაჯვარედინებები, ტენორისა და ბანის პარტიებში კი, შედარებით ნაკლები მელოდიური მოძრაობაა. ყველა ამ ჩანაწერში ჩანს, რომ ზედა ორ ხმას შორის, ძირითადად, ტერციული კოორდინაციაა.

მთლიანობაში ამ ჩანაწერებს ტრადიციული გალობისაგან ყველაზე მეტად ბანი და ჩამატებული ტენორი აშორებს.

დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ ნოტირებულ ოთხხმიან საგალობელთაგან ზოგიერთი ჩანაწერი მნიშვნელოვანია ქართული გალობისათვის, ვინაიდან, მათი მელოდია თუ კომპოზიციური სტრუქტურა განსხვავდება იმავე სახელიანი სამხმიანი ნიმუშებისაგან — მაგ. №42-43 „წმიდაო ღმერთო“-ს ჰანგები მხოლოდ ამ წყაროშია დაფიქსირებული; №53 „რომელნი ქერუბიმთა“-ს მუხლები უნისონით მთავრდება (განსხვავებით ყველა სხვა ქართლ-კახური „რომელნი ქერუბიმთა“-საგან, რომლებშიც მუხლების ბოლოს სტერეოტიპული კადანსებია — I-III ხმების კვინტური თანხლების ფონზე II ხმის სახასიათო მელოდიური ფიგურაციით); №55 „ღირს არს და მართალ“-ში კი, არაა ბოლო მარცვლების მელიზმატიკური ყაიდის გამღერებაზე აგებული ეპიზოდი (რაც არის ყველა ევქარისტული საგალობელში); ზოგი — განსხვავებულია სხვა ქართლ-კახური საგალობლებისაგან და მსგავსია დასავლეთ საქართველოს ნიმუშებისა (მაგ. №41 „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“).

ამდენად, საჭიროდ მივიჩნით, ჩვენს ანთოლოგიაშიც წარმოგვეჩინა ქართული სამგალობლო მელოდიების ეს არქაული და თავისებურად უნიკალური ნიმუშები. შესაბამისად, დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის არქივში დაცული ზოგიერთი ოთხხმიანი საგალობლის მელოდიას შევუწყვეთ ქართული გალობის ტრადიციული კანონზომიერებებით აგებული II—III ხმები (შევეცადეთ, ამ ხმების ზოგიერთ ფრაგმენტში, შეგვენარჩუნებინა ხელნაწერში არსებული ინტონაციებიც) და ამგვარად რესტავრირებული, გასამხმიანებული საგალობლები დავბეჭდეთ ანთოლოგიის IV ტომში — 31—57 ნომრებად.

ამასთან, №31—57 საგალობელთაგან ზოგიერთი შავი, დაუსრულებელი ხელნაწერის სახითაა შემონახული, ზოგიერთის მხოლოდ ერთი ხმაა ჩანერილი. ასეთ ჰიმნებს სქოლიოში სათანადო ინფორმაცია ერთვის.

ჩიჯავაძისეული №31—37 ოთხხმიანი კვერექსები დაბეჭდილია სტ. კარბელაშვილის მიერ ნოტირებული ოთხხმიან საგალობლებთან მათი მელოდიურ-ფაქტურული და ჰარმონიული მსგავსების საჩვენებლად. მიგვაჩნია, რომ გალობისას ამ კვერექსებიდან ამოღებული უნდა იქნეს წვრილი შრიფტით ნაბეჭდი, ზემოდან III ხმა. 31—37 ნიმუშების ასე შესრულების შემთხვევაში №1—6 და განსაკუთრებით, №8—11 კვერექსების იდენტურ, ტრადიციულ სამხმიან საგალობლებს მივიღებთ.

დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის ჩანერილი ზოგიერთი საგალობელი განსხვავებული მეტრო-რიტმული პროპორციით არის ნოტირებული და წვრილი გრძლიობის ნოტების — მეთექვსმეტედებისა და ოცდამეთორმეტედების სიჭარბით გამოირჩევა. ასეთი ნიმუშები უნდა შესრულდეს ნელა, ღმობიერად და არა ჩქარი ტემპითა და სუმბურული ინტონირებით.

დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის ჩანაწერებიდან ანთოლოგიის IV ტომში დაბეჭდილია 30 სამხმიანი (№1—30), 7 ოთხხმიანი (№31—37) და 21 ჩვენ მიერ გასამხმიანებული (№38—57) საგალობელი;



კ) ანთოლოგიის IV ტომში წარმოდგენილი, **დ. არაყიშვილის მიერ ნოტირებული საგალობლები** მოსკოვის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიული კომისიის შრომებში ხალხურ სიმღერებთან ერთადაა გამოქვეყნებული (არაყიშვილი, 1905; არაყიშვილი, 1916).

როგორც თავად არაყიშვილი აღნიშნავს, მას საგალობლები ფონოგრაფით ჩაუნერია (სავარაუდოდ, 1905 წელს, თბილისში) ქართლ-კახური გალობის მცოდნე სამი მაგალობლისაგან — „გალობის იშვიათი მცოდნისგან“ გიორგი ზალიკანიანისაგან [I ხმა], დიაკვან ნ. კუჭაიძისაგან [II ხმა], კალოუზნის ეკლესიის მღვდელ მ. ომანიძისაგან [ბანი] და მაგალობელ ჩივაძისაგან, 1 საგალობელი (IV ტომის №74 „წმიდაო ღმერთო“) კი — ძმები კარბელაშვილებისაგან.

დიმიტრი არაყიშვილის მიერ ნოტირებული საგალობლები ქართლ-კახური გალობის სხვა ჩანაწერებისაგან მკვეთრად განსხვავდება, ამ დიალექტის ხალხური სიმღერების მსგავსი მელიზმატური ორნამენტის სიჭარბით, განსაკუთრებით, I ხმის პარტიაში (ამის მიზეზი, არაყიშვილის თანახმად, ისაა, რომ I ხმის მთქმელი გალობის უკეთესი მცოდნე ყოფილა).

დიდი ფოლკლორისტის ნოტირებულ საგალობლებს ახასიათებს მაგალობელთა ფონოჩანაწერის (რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია) ინტონაციური, ჰარმონიული, მეტრო-რიტმული, აგოგიური და დინამიკური ასპექტების დეტალური გადმოცემის მცდელობა. ამასთან, ამ საგალობლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათ არქექტიპულ საფუძველს ე.წ. „კარბელაანთ“ გალობა წარმოადგენს. თუ ჭარბ მელიზმატიკას არ გავითვალისწინებთ, ხმების მელიზმატიკის კონტურისა და ფაქტურული თვალსაზრისით, ეს საგალობლები მსგავსია პ. კარბელაშვილისა და დ. მოლოდინაშვილის მიერ ჩანერილი მარტივი საგალობლებისა — მოძახილისა და მთქმელის, ძირითადად, ტერციული და განაპირა ხმების კვინტა-ოქტავური კოორდინირებით. განსაკუთრებით, თვალში საცემია მთქმელთან ტერციული პარალელიზმით აწყობილი მოძახილის პარტიის „განუვითარებლობა“ სტეფანე კარბელაშვილისეული მოძახილის მდიდარ, იმპროვიზაციულ ბუნებასთან შედარებით. თუმცადა, ხმათმეწყობის აღნიშნული სიმარტივე ამ საგალობლებში განონასწორებულია წვრილი გრძლიობის ბგერებით „მორთული“ ჭარბი მელიზმატიკითა და კადანსებში გაჩენილი პოლიფონიური „უჯრედებით“. არაყიშვილისეულ საგალობელთა კიდევ ერთ სახასიათო ნიშანს წარმოადგენს საგალობელთა დაწყება არა ერთდროულად, არამედ ჯერ I ხმის და, შემდგომ, დანარჩენი ხმების მიერ; ასევე, საგალობლის დაწყება ზედა ხმების სეკუნდური შეწყობით, განსაკუთრებით ხშირად — კვარტკვინტაკორდით.

ანთოლოგიის IV ტომში დ. არაყიშვილის მიერ ნოტირებული 40 საგალობელია დაბეჭდილი: — 58—97 ნომრები.

აღვნიშნავთ, რომ ჩვენ გადმოვიტანეთ დ. არაყიშვილის მიერ იტალიურად აღნიშნული ტემპები და სხვა რემარკები. მაგალობლები მათ არ უნდა მიუდგნენ მექანიკურად. ეს საგალობლებიც, როგორც ყველა სხვა, უნდა შესრულდეს განონასწორებული, რბილი, ლმობიერი მდინარებით. მელიზმური „ჩახვევების“ შესახებ, თავად დ. არაყიშვილი აღნიშნავს კრებულის შესავალში, რომ ისინი უნდა შესრულდეს „ორიგინალურად“ ე.ი. ქართული ტრადიციული ინტონირებისათვის დამახასიათებელი მანერით.

საგალობლების სქოლიოებში ჩვენ დიმიტრი არაყიშვილისეული შენიშვნებიც დავბეჭდეთ. აღვნიშნავთ, რომ მისი მითითებებიც ამა თუ იმ ბგერის,



„ფორტეპიანოსთან შედარებით“ მაღალი ან დაბალი ინტონირების შესახებ, არ უნდა იქცეს მაგალობელთათვის თვითმიზნად. ცხადია, რომ ტრადიციული ვოკალური შემსრულებლობის ზონური ბუნებიდან გამომდინარე, ყოველ შემდგომ შესრულებაზე, ძველი მაგალობლები სხვადასხვა მიკროინტერვალური სიმაღლით იმღერებდნენ ყველა ბგერას. შესაბამისად, ეს ასპექტი, მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია საგალობლის საშემსრულებლო პროცესისა. მთავარია საგალობლის რელიგიური და ესთეტიკური არსის გულწრფელი, ბუნებრივი, სტილურად ადეკვატური, ლმობიერებითა და სულიერებისაკენ სწრაფვით აღსავსე გადმოცემა.

* * *

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართლ-კახური საგალობლების სანოტო ჩანაწერების (რომელთა შორის მრავალი დაუსრულებელი, ნაკლული, ან ნაწილობრივ ჩანერილი ნიმუშია) თავისებურებებიდან და ანთოლოგიის პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, II—IV ტომებში, სამღვდელთმთავრო ლიტურგიის, 3 წირვის წესისა და ჯვრისწერა-ხელდასხმის განგებათა ქართლ-კახურ საგალობელთა სრული კორპუსის წარმოჩენის მიზნით, ჩვენ, კონტრაფაქტურის მეთოდით, ტრადიციულ ჰანგებსა და ინტონაციებზე გავანყვეთ ის საგალობლები, რომლებიც შემონახული არაა საარქივო ჩანაწერებში, ან ფრაგმენტული სახით არის შემორჩენილი. ყოველ ასეთ ნიმუშს ჩვენ სქოლიოში გაუფუკეთებ შესაბამისი მითითება „დედან“ ორიგინალზე.

მსგავს შემთხვევებში საგალობლის განყოფილება-რეკონსტრუირების მთავარ პრინციპად გვესახება ჰიმნის სავარაუდო არქეტიპულ მოდელთან (ან მასთან ახლო მდგომ ნიმუშებთან) კომპოზიციური და ესთეტიკური სიახლოვე. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ, ობიექტური მიზეზების გამო, საგალობლის ჩვენს დროში განყოფილი ვარიანტი, ალბათობის გარკვეული ხარისხით, მუდამ დაშორებული იქნება სავარაუდო პირველწყაროსთან. ჩვენ მიერ განყოფილ ნიმუშთა უმრავლესობაში, II—III ხმები სტ. კარბელაშვილის ჩანაწერებსა და გამოცემებში არსებული „გამშვენებული“ საგალობლების სტილშია კონსტრუირებული. სურვილის შემთხვევაში, მაგალობლებს შეუძლიათ, უფრო სადად, I ხმასთან ტერციული პარალელიზმით შეუწყონ II ხმა, ან სხვაგვარად „გაამშვენონ“ იგი.

ჩვენ მიერ სხვა საგალობელთა ჰანგებზე განყოფილ ნიმუშთა შორისაა, მაგალითად, „მომიხსენენი“/„9 ნეტარება“ და ყოველდღიური აღსავლები, რომელთა ჩანაწერებიც წყაროებში ფრაგმენტული სახითაა შემონახული; „მცირე შესვლის“ შემდგომი აკლამაციური საგალობელი „დიპტიქი“/„ქებანი“/„სინკლიტი“, რომელიც, დღეს მიღებული წესით, საპატრიარქო და სამღვდელთმთავრო წირვაზე განსხვავებული სახით იგალობება, ხოლო XIX საუკუნეში, როდესაც საქართველოში საპატრიარქო წირვა აღარ ტარდებოდა, სხვა სახით იგალობებოდა (ამ ლიტურგიკული რიტუალის ისტორია გამოსაკვლევიან).

სვეტიცხოვლის სკოლის სამგალობლო ტრადიციის წყაროებში, წირვის საგალობელთა 8 ხმის სისტემის არასრული (არა რვავე ხმის), რამდენიმე ნიმუშია შემონახული (I, II, IV და VIII ხმების „წმიდაო ღმერთო“, II და IV ხმების „მოვედით თაყვანის-ვსცეთ“ და სხვ.). ზოგიერთი საგალობლის შემთხვევაში, ჩვენ ვისურვებთ 8 ხმის სრული კორპუსის აღდგენა-წარმოჩენა — ლიტურგიკული სისრულისა და საგალობელთა ვარიანტული მრავალფეროვნების მიზნით. ასეთ ნიმუშებს ჩვენ ყველგან სქოლიოში ვუთითებთ შესაბამის ორიგინალს, რომელთა ინტონაციებზეც გავანყვეთ ისინი.



ჩვენს სამტომეულში სულ 175 ასეთი საგალობელია:

II ტომში ასეთი 41 საგალობელია:

№223, 224, 226, 252, 271, 272, 275, 276, 290, 291, 310, 311, 312, 317, 318, 319, 320, 321, 322, 323, 324, 325, 326, 327, 328, 348, 350, 351, 352, 353, 354, **378**, 379, 399, 402, **404**, 437, 438, 439, **441**, 442.

„მნუხრში“ (კარბელაშვილი, 1897) მოცემული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 3 ნიმუში: №275, **404**, **441**.

„ცისკარში“ მოცემული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 11 ნიმუში: №348, 350, 351, 352, 353, 354, 399, 402, **404**, **441**, 442.

სტ. კარბელაშვილის არქივში დაცული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 20 ნიმუში: №223, 224, 226, 252, 271, 272, 317, 318, 319, 320, 321, 322, 323, 324, 325, 326, 327, 328, **378**, 379.

პ. კარბელაშვილის არქივში დაცული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 6 ნიმუში: №276, 291, 310, 311, 312, **378**.

მ. ელიზბარაშვილის ხელნაწერში მოცემული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 1 ნიმუში: №290.

დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ ჩანერილი საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 3 ნიმუში: №437, 438, 439.

III ტომში ასეთი 95 საგალობელია:

№5, 7, 9, 10, 14, 15, 16, 19, 20, 23, 24, 25, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 36, 37, 38, 39, 40, 42, 43, 44, 46, 47, 77, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 148, 150, 158, 159, 160, 161, 279, 370, 372, 373, 374, 375, 393, **394**, 395, 423, **424**, 430.

„მნუხრში“ (კარბელაშვილი, 1897) მოცემული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 14 ნიმუში: №5, 7, 14, 23, 28, 32, 39, 42, 84, 93, 104, 108, 119, 125.

„ცისკარში“ მოცემული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 34 ნიმუში: №9, 15, 19, 29, 33, 37, 46, 83, 89, 90, 95, 96, 98, 101, 102, 107, 111, 112, 113, 115, 116, 118, 120, 123, 124, 148, 150, 158, 159, 160, 161, **394**, 423, **424**.

სტ. კარბელაშვილის არქივში დაცული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 38 ნიმუში: №10, 16, 20, 24, 25, 30, 31, 34, 36, 38, 40, 43, 44, 47, 77, 85, 87, 88, 92, 94, 97, 100, 106, 109, 117, 121, 126, 127, 129, 279, 372, 374, 375, 393, **394**, 395, **424**, 430.

პ. კარბელაშვილის არქივში დაცული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 11 ნიმუში: №86, 91, 99, 103, 105, 110, 114, 122, 128, 370, 373.

IV ტომში ასეთი 39 საგალობელია:

№106, 108, 109, 110, 111, 125—130, **131**, **133**, 134, 135, 137, **138**, 145, **152**, 153, **154**, **155**, 156, **157**, 159, **160**, **161**, 162, 164, 165, 166, 186, 187, 189, 191, 247, 253, 254, 255.

„მნუხრში“ (კარბელაშვილი, 1897) მოცემული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 11 ნიმუში: №106, 108, 134, **138**, **157**, **160**, **161**, **165**, 166, 189, 191.

„ცისკარში“ მოცემული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 7 ნიმუში: №135, **138**, **157**, **160**, **161**, 162, 164.

სტ. კარბელაშვილის არქივში დაცული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 20 ნიმუში: №110, 125—130, **131**, **133**, **138**, 145, **152**, 153, **154**, **155**, 156, 159, **160**, **161**, 187.



პ. კარბელაშვილის არქივში დაცული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 10 ნიმუში: №109, 111, **131, 133**, 137, **138**, 247, 253—255.

მ. იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერებში მოცემული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 1 ნიმუში: **№138**.

მ. ელიზბარაშვილის ხელნაწერში მოცემული საგალობლების მუსიკაზე განყოფილია 3 ნიმუში: **№152, 154, 155**.

დ. მოლოდინაშვილის ხელნაწერში მოცემული საგალობლის მუსიკაზე განყოფილია 1 ნიმუში: №186.

გრ. ჩხიკვაძის ხელნაწერებში მოცემული საგალობლის მუსიკაზე განყოფილია 1 ნიმუში: **№131**.

* * *

კომენტარებში ყოველთვის ვუთითებთ, როდესაც საგალობელი აღებული გვაქვს კარბელაშვილთა გამოცემებიდან, ასევე, პოლიევეტოს და ფილიმონ კარბელაშვილების, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის, მიხეილ ელიზბარაშვილისა და დავით მოლოდინაშვილის ხელნაწერებიდან.

ამასთან, არ ვუთითებთ, როდესაც საგალობელი სტეფანე კარბელაშვილის არქივიდანაა — ასეთები ანთოლოგიის II—IV ტომებში წარმოდგენილი საგალობლების უმრავლესობას წარმოადგენს.

საგალობელთა ფაქტურის ვარიანტულობის შესახებ

II—IV ტომების შედგენისას გამოყენებულ ხელნაწერ კრებულებში, განსაკუთრებით კი, სტ. კარბელაშვილის ხელნაწერებში, ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთ საგალობელში რომელიმე ხმის მელოდიური მოძრაობის ორი (ზოგჯერ უფრო მეტიც) ალტერნატიული ვარიანტია წარმოდგენილი; ასევე, ხშირად ვხვდებით გაურკვეველ ადგილებს — ჩამატებებს, გადასწორებულ ან გადაშლილ ფრაგმენტებს, რომელთა განსხვავებული ინტერპრეტაციაა შესაძლებელი. ასეთ შემთხვევებში წარმოდგენილია ხმათასვლის ყველა შესაძლო ვარიანტი, ხშირად, სქოლიოში შესაბამისი მითითებით. მაშინ, როდესაც ერთი და იმავე საგალობლის ვარიანტებს შორის ნაკლებად მნიშვნელოვანი განსხვავებაა (ცალკეულ ხმათა სუბმოტივების დონეზე), ხმათასვლის ვარიანტები საგანგებო მითითების გარეშეა მოცემული.

დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის, მ. იპოლიტოვ-ივანოვის, დ. მოლოდინაშვილისა და მ. ელიზბარაშვილის ხელნაწერებში, ასევე, კარბელაშვილთა „წირვასა“ და დ. არაყიშვილის ნაბეჭდ კრებულებში, მსგავსი ფაქტურულ-მელოდიური ვარიანტულობა მინიმალურია და ჩვენ ყველა ასეთი შემთხვევა წარმოჩენილი გვაქვს II—IV ტომებში.

ანთოლოგიის II—IV ტომებში, ზოგიერთ შემთხვევაში, პარტიტურის წაკითხვის გასაადვილებლად, ხმათასვლის ვარიანტები განსხვავებული ზომის შრიფტითაა დაბეჭდილი. ამა თუ იმ ხმაში მოცემული ხმათასვლის განსხვავებული ვარიანტიდან შესაძლებელია შესრულდეს ნებისმიერი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სპეციალურადაა მითითებული ხმათასვლის რომელი ვარიანტი უნდა შესრულდეს აუცილებლად, იმისათვის, რომ არ დაირღვეს ტრადიციული მუსიკალური ენის კანონზომიერებები.

მელიზმატიკური „ჩახვევების“ შესახებ

ჩვენი აზრით, საგალობელთა სანოტო ჩანაწერებში არსებული მელიზმები, ე.წ. „ჩახვევები“, უნდა შესრულდეს შემდეგნაირად:



ანუ, ეს „ჩახვევები“ მის წინ ჩანერილი ბგერის გრძლიობაში უნდა „ჩაეტიოს“ და არ უნდა გადავიდეს შემდეგ ბგერაში. მსგავსადაა ნოტირებული მელიზმები სტ. კარბელაშვილის მიერ, ანთ. III ტომის №233 „და ვითარცა“-ში.

ამასთან, ჩვენ სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ შესაბამისი გამოცდილების მქონე შემსრულებლის მიერ, ქართლ-კახურ საგალობლებში მელიზმები შესრულდეს თავისუფლად, აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციული მუსიკისათვის დამახასიათებელი „ჩახვევების“ მსგავსად. ასეთი ინტერპრეტაციის დაშვების არგუმენტად მოვიხმობდით ა. ცამციშილისა და ს. კავსაძის გუნდების მიერ ჩანერილ „შენ გიგალობ“-სა და „მამაო ჩვენო“-ს (ერქომიშილი, როდონაია, 2006: CD I, №21, 23), დ. არაყიშვილის მიერ ნოტირებულ საგალობლებს (ანთ. IV ტომი, №58—97) და დ. არაყიშვილის მითითებას მის მიერ ნოტირებულ საგალობლებში მელიზმების შესრულების შესახებ: „მელიზმები, რა თქმა უნდა, სრულდება არა ევროპულად, არამედ თავისებურად“ (შულღიაშვილი, 2014:49).

ასეთი ინტერპრეტაცია ორგანულად ჩაჯდება „კარბელაანთ კილოს“ საგალობლების ლინეარულ-პოლიფონიური განვითარების ლოგიკაში.

შენიშვნები ზოგიერთ საგალობელთან დაკავშირებით

ზოგიერთი საგალობელი და ლიტურგიის ნაწილი დღეს XIX საუკუნის II ნახევრისგან განსხვავებულად სრულდება. ეს ჩანს სანოტო მასალაში, რომელიც II—IV ტომებშია წარმოდგენილი. ქვემოთ და III-IV ტომებში მოცემულია კომენტარები, სწორედ ლიტურგიის განსხვავებული ნაწილებისა თუ საგალობელთა ჯგუფების შესახებ.

1. მღვდელთმთავრის დახვედრისა და შემოსვის წესის საგალობელთა შესახებ

წირვის აღვლენისას ეპისკოპოსის ტაძარში შესვლა საღვთისმეტყველო-სიმბოლური აზრის მატარებელია. ღვთისმსახურების გარკვეულ მომენტებში, უპირატესი მღვდელმსახური, სიმბოლურად, უმაღლეს, „წესსა მას ზედა მელქისედეკისსა“ მღვდელთმთავარს — თავად უფალ იესოს განასახიერებს. ტრადიციის თანახმად, ეპისკოპოსის ტაძარში შემობრძანება სიმბოლურად მაცხოვრის მეორედ მოსვლას, ე.ი. მარადიული, ნეტარი ცხოვრების დასაწყისსა და ამ წუთისოფლის დასასრულს გამოსახავს.



ქართულ ღვთისმსახურებაში, ჩვენამდე მოსულ წყაროთა თანახმად, განსხვავებულია მღვდელთმთავრის დახვედრის განგების დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციები.

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციების ამსახველ ხელნაწერში Q674, ე. კერესელიძე მიუთითებს, რომ ტაძრის ეზოში, უშუალოდ ტაძრის კარიბჭემდე, მაგალობელთა გუნდი ხვდება და წინ მიუძღვის მღვდელთმთავარს ფსალმუნური საგალობლით „აღმოსავალითგან მზისა“ (Q674:1, 2). მღვდელთმთავრის ტაძარში შესვლისას გუნდი გალობს III ხმის IV გალობის ძლისპირს „მოსლვისა შენისა საიდუმლო“⁸ (ქორიძე, 1901:68; ანთ. I ტომი, №169), ამის შემდგომ, ამბიონზე, კანკელის ხატთა მოლოცვისას იგალობება „ღირს არს“-ის ე.წ. „მღვდელთმთავრის“ ვარიანტი (რომელიც წირვის დინამიკური და საზეიმო „ღირს არს“-ებისაგან უფრო გრძელი, „გამშვენებული“ მელოდიითა და ფაქტურით და დინჯი, დიდებული ხასიათით განსხვავდება. იხ. ანთ. I ტომი, №2, ანთ. II ტომი, №17—22). ამის შემდგომ, როგორც Q674-ში, ასევე, ქორიძის „წირვაში“ (ქორიძე, 1895:7; 14) მოცემულია მღვდელთმთავრის შემოსვის საგალობლები „უღბინე“, „მღვდელთა ხარ ბრწყინვალეა“ (რომლებშიც მხოლოდ სათაურში მოცემული სიტყვები მღერდება 7-10 წუთის განმავლობაში, „გამშვენებულ“, პოლიფონიზებულ მუსიკალურ მასალაზე. იხ. ანთ. I ტომი, №4, 6) და „იხარებს სული შენი“ (იხ. ანთ. I ტომი, №5, ანთ. II ტომი, №47—54). ამ რიტუალის განმავლობაში ორჯერ, მღვდელთმთავრის მიერ ხალხის კურთხევისას გუნდი გალობს ბერძნულ-ენოვან აკლამაციურ საგალობელს „ტონ დესპოტინ“⁹ (იხ. ანთ. I ტომი, №3, ანთ. II ტომი, №23—34).

სვეტიცხოვლის სამგალობლო ტრადიციის ამსახველ ხელნაწერთა მიხედვით, მღვდელთმთავრის დახვედრის წესის პირველი საგალობელი იცვლება მისი წოდების მიხედვით. კერძოდ, კათოლიკოს-პატრიარქის „შემთხვევაზე“, სტ. კარბელაშვილის მითითებით, უნდა შესრულდეს ღვთისმშობლის ჰიმნი „აღმოსავალი მზისაო“ (იხ. №1—3 წინამდებარე ტომში), ხოლო ყველა სხვა მღვდელთმთავრის (მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსი) დახვედრისას, ბზობის დასდებელი „დღეს საღმრთომან მადლმან“ (№5—7 წინამდ. ტომში).

ამასთან, პ. კარბელაშვილის სანოტო არქივში (ცენტრ. არქ., ფ. 1461, №202-203 საქმეები), მისი ძმის არქივისაგან განსხვავებით და ქორიძე-კერესელიძისეული განგების იდენტურად, ეპისკოპოსის დახვედრის საგალობლად (მითითებით „არქიელის დახვედრაზე“) მოცემულია და ნოტირებულია „აღმოსავალითგან მზისა“ (№4 წინამდ. ტომში).

ასევე, სტ. კარბელაშვილის რამდენიმე ხელნაწერში მითითებებით — „მღვდელთმთავრის შემოსვლისას“, „მღვდელთმთავრის დახვედრისას“ მოცემულია IV ხმის V გალობის ძლისპირი „ნათელი მოხვედ“.¹⁰ (№8—16 წინამდ. ტომში).

⁸ ამ ძლისპირის ნევემირებული ტექსტი X საუკუნის ნევემირებულ ხელნაწერში A-603 ფიქსირდება (კიკნაძე, 1982:279).

⁹ „ტონ დესპოტინ“ იმ მეტად მცირერიცხოვან საგალობელთაგანია, რომლებიც მართლმადიდებელ ადგილობრივ ეკლესიათა ლიტურგიებში არა ეროვნულ ენებზე, არამედ ბერძნული სიტყვიერი ტექსტით იგალობება: "Τόν Δεσπότην και Ἀρχιερέαν ἡμῶν, Κύριε φύλαττε, εἰς πολλὰ ἔτη, Δέσποτα". „ტონ დესპოტინ, კე არქიერეან იმონ, კირიე ფილატტე, ის პოლლა ეტი დესპოტა“. ქართულად — „მეუფე და მღვდელთმთავარნი ჩვენნი, უფალო, დაიცვე! მრავალი წელი მეუფეო!“. ზოგიერთი ვარიანტით, იგალობება არა „არქიერეან“, არამედ „არქიერეა“, ანუ, არა „მღვდელთმთავარნი“, არამედ „მღვდელთმთავარი“.

¹⁰ ამ ძლისპირის ნევემირებული ტექსტი X საუკუნის ნევემირებულ ხელნაწერში A-603 ფიქსირდება (კიკნაძე, 1982:399). ამასთან, X საუკუნისა და XIX საუკუნის ტექსტების ბოლო ფრაზა განსხვავდება — ნევემირებულ ვარიანტში არის: „ხოლო რომელთა უარ-გყვეს შენ, მიეცნეს ბნელსა განუნათლებელსა“; ნოტირებულ ვერსიებშია: „ხოლო რომელთა უარ-გყონ შენ, მიეცნენ ბნელსა განუნათლებელსა“.



იგივე ჰიმნი დ. მოლოდინაშვილის ხელნაწერში წარმოდგენილია, როგორც დახვედრის პირველი საგალობელი — მინაწერით: „მღვდელ-მთავრის დახვედრაზედ და შეიძლება მეფისაზედაც. ქორწინებაზედ“.

„ნათელი მოხვედ“-სა და სამღვდელთმთავრო „ღირს არს“-ებს (№17—22) შორის, ან მათთან ერთად, ან სამღვდელთმთავრო წირვის სანოტო ჩანაწერთა დასაწყის ნაწილებში, სტ. კარბელაშვილის ხელნაწერებში ჩანერილია ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ნათლისღების მეცხრე ძლისპირი „ვერ შემძლებელ ვართ“, მისი წინა ჩასართავითურთ „ადიდე სულო ჩემო“ და IV ხმის III გალობის ძლისპირი „მგალობელნი შენნი“.

„ადიდე სულო ჩემო“-სა და „ვერ შემძლებელ“-ის I ხმა წირვის ჰიმნთა წინაა მოცემული პ. კარბელაშვილის არქივში დაცულ წირვის ერთ-ერთ კრებულშიც (ცენტრ. არქ., ფ. 1461, საქმე №201)

ძლისპირების „ვერ შემძლებელ ვართ“ (მის წინ დართული, მეცხრე გალობის ჩასართავითურთ „ადიდე სულო ჩემო უპატიოსნესი“) და „მგალობელნი შენნი“ სამღვდელთმთავრო ლიტურგიაში დანიშნულების საკითხს, ნათელს ჰფენს კარბელაშვილთა ტრადიციის ცნობილი მგალობლისა და მასწავლებლის, მიხეილ ელიზბარაშვილის მინაწერი მისსავე ხელნაწერ კრებულში „ქართული გალობა. ლიტურგია. კარბელაშვილების კილო“. აქ, 85-ე გვერდზე, „მღვდელთმთავრის წირვის საგალობელნი“-ს ნაწილში, პირველ საგალობლად სწორედ ნათლისღების მეცხრე ძლისპირი „ვერ შემძლებელ ვართ“ არის ჩანერილი (№41 წინამდებარე ტომში). ჰიმნის ხელნაწერის სქოლიოში კი, შენიშვნაა: „ამის მაგიერ იგალობების კიდევ „ნათელი მოხვედ“.. გვ. 106“. „ვერ შემძლებელ“-ის ბოლოს მ. ელიზბარაშვილი მიუთითებს: „შემდეგ იგალობების „ღირს არსი“, ანუ რომელიმე ღვთისმშობლ. საგალობელი და...“.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, იკვეთება აღმოსავლეთ საქართველოში მიღებული მღვდელთმთავრის დახვედრის წესი:

კათოლიკოს-პატრიარქის დახვედრისას იგალობებოდა „აღმოსავალო მზისაო“ ან „აღმოსავალითგან მზისად“, ეპისკოპოსის დახვედრისას „დღეს საღმრთომან მადლმან“.

როგორც ჩანს, მგალობელთა სურვილის მიხედვით, ან, შესაძლოა, ტაძრის ზომების გათვალისწინებით, *ან ამ საგალობლების შემდეგ, ან მათ მაგივრად*, იგალობებოდა „ნათელი მოხვედ“, ან „ვერ შემძლებელ ვართ“, ან „მგალობელნი შენნი“, ან ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი რომელიმე სხვა საგალობელი. ამის შემდგომ კი, მღვდელთმთავრის მიერ კანკელის ხატების მოლოცვისას, იგალობებოდა „სამღვდელთმთავრო ღირს არს“. თუკი ამ უკანასკნელის კარბელაშვილისეულ ვარიანტთა სიგრძესა და მ. ელიზბარაშვილის მითითებას გავითვალისწინებთ, დასაშვებია იყო, რომ ყველა ხსენებული საგალობლის ნაცვლად, მხოლოდ გრძელი სამღვდელთმთავრო „ღირს არს“ შესრულებულიყო. ანუ, დღევანდელ ლიტურგიაშიც დასაშვებია, რომ გუნდი მხოლოდ №17—22 „ღირს არს“-იდან რომელიმეთი დახვდეს მღვდელთმთავარს.

ჩვენ არ ამოვიღეთ „ვერ შემძლებელ ვართ“ (ჩასართავით) და „მგალობელნი შენნი“) სამღვდელთმთავრო წირვის წესის საგალობელთაგან, რადგანაც, ვფიქრობთ, დასაშვებია მათი შესრულება თანამედროვე ლიტურგიაშიც, ან კარბელაშვილთა სამგალობლო ტრადიციის ჩანაწერებში დაფიქსირებული ფუნქციით (ჯერ „აღმოსავალო მზისაო“, ან „აღმოსავალითგან მზისა“, შემდეგ „ვერ შემძლებელ



ვართ“ (ჩასართავით) ან „მგალობელნი შენნი), ან I „ტონ დესპოტინ“-სა და მღვდელთმთავრის შემოსვის ჰიმნს „იხარებს სული“-ს შორის.

ამ მომენტში, I „ტონ დესპოტინ“-ის თანხლებით მრევლის კურთხევის შემდეგ, მღვდელთმთავარი ამბიონიდან მიდის სამღვდელთმთავრო ტახტთან, მისგან სამღვდელოება იღებს კურთხევას და შედის საკურთხეველში, მღვდელთმთავარი განიმოსავს მანტიას, კუნკულ-ბარტყულსა და ანაფორას და მასთან მიაქვთ ლიტურგიკული სამოსელი.

ამ ქმედებათა თანხლებისათვის, თანამედროვე პრაქტიკაში, გუნდები სხვადასხვა საგალობელს ასრულებენ ხოლმე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ დროსაა შესაძლებელი, შესრულდეს ქორიძის ნოტირებული შემოსვის საგალობლები „უღბინე“ და „მღვდელთა ხარ“ (იხ. ანთოლოგიის I ტომი, №4, 6), ასევე, ტაძრის თუ დღესასწაულისადმი მიძღვნილი საგალობლები, ან თანამედროვე პრაქტიკაში ამისათვის ასე ხშირად გამოყენებული „შენ ხარ ვენახი“ და ზემოჩამოთვლილი სამღვდელთმთავრო ჰიმნებიც.¹¹

მღვდელთმთავრის შემოსვისას, იგალობება „იხარებს სული შენი“. კარბელაშვილთა ტრადიციით, ეს ჰიმნი ტროპრის VIII ხმის ჰანგზეა დაფუძნებული. ქორიძის მიერ ნოტირებული „გამშვენებული“ და „ჭრელის“ შემცველი „იხარებს სული შენი“ (ქორიძე, 1895:11; ანთ. I ტომი, №5) კი, ეფუძნება მელოდიას, რომელიც ერთი მხრივ, გვხვდება VI ხმის IX გალობის ძლისპირში „სტუმრობისა საღმრთოსა“ (Q689:203), და მეორე მხრივ, „ჭრელის“ შემცველ თვითხმოვან დასდებელში „ყოველი სასოება მათი დასდევს“ (Q684:5). არსებობს რ. ხუნდაძის მიერ ნოტირებული, კონდაკის III ხმის მელოდიაზე დაფუძნებული „იხარებს სული შენი“-ც (ერქვანიძე, 2004:208).

შემოსვის შემდეგ, არქიდიაკონის აკლამაციის „ესრეთ ბრწყინევიდინ“ პასუხად, გუნდი კვლავ გალობს „ტონ დესპოტინ“-ს, ხოლო მღვდელთმთავარი კიდევ ერთხელ აკურთხებს ტაძარში მყოფთ.

თანამედროვე პრაქტიკაში, მღვდელთმთავრის დახვედრის წესი არ იცვლება სამი ლიტურგიიდან არც ერთში. სხვა ლიტურგიკული განგებების (მწუხრთან შეერთებული ცისკარი, პარაკლისი, პანაშვიდი და ა.შ.) აღვლენისათვის ტაძარში მიბრძანებულ მღვდელთმთავარს კი, გუნდი ხვდება „ღირს არს“-ის გალობით.

სტ. კარბელაშვილის ხელნაწერებში საინტერესო ცნობაა პირველშენირულის ლიტურგიაზე მღვდელთმთავრის დახვედრის შესახებ. კერძოდ, კი, ამ ლიტურგიის საგალობელთა შორის მეუფე სტეფანეს ჩაწერილი აქვს „დიდი ნათელი მხიარული“ (ანთოლოგიის IV ტომი, №168; კარბელაშვილი, 1897:72), რომლის სათაურადაც მიწერილია: „ქათალ. გინა ეპისკოპ. შემთხვევაზე პირველ შენირულისა“. ამ მინაწერიდან ცხადი ხდება, რომ პირველშენირულის ლიტურგიაზე მწუხრზე ისედაც შესასრულებელი „ნათელი მხიარული“, დამატებით, მსახურების წინ, მღვდელთმთავრის დახვედრისას იგალობებოდა — თუ უფრო ადრე არა, სავარაუდოდ XVIII-XIX საუკუნეებში და XX საუკუნის დასაწყისში მაინც.

კონკრეტული ლიტურგიკული რიტუალის — მღვდელთმთავრის დახვედრის წესის ასეთი მუსიკალური მრავალფეროვნება მიგვითითებს ღვთისმსახურებასთან ჩვენი წინაპრების შემოქმედებით და ცოცხალ დამოკიდებულებაზე.

¹¹ ბოლო ათწლეულებში, სვეტიცხოვლის, თბილისის ყოვლადწმიდა სამებისა თუ სიონის კათედრალეებში, საპატრიარქო წირვაზე, ამ მომენტში, ზემოხსენებულ საგალობლებთან ერთად, გენიალური ქართველი კომპოზიტორის იოსებ კეჭყაყაძის ჰიმნებიც სრულდება ხოლმე.

მღვდელთმთავრის შემოსვის რიტუალის შემდგომ, სამღვდელთმთავრო ლიტურგია, საგალობელთა შედგენილობის მხრივ განსხვავდება მხოლოდ მღვდელთმთავრის მიერ ტაძარში მყოფთა კურთხევით და, საპასუხოდ, გუნდის მიერ „ის პოლა“-ს¹² გალობით. პირველად ეს ხდება „მცირე შესვლის“ შემდგომ, როდესაც მღვდელთმთავარი აკმევს საკურთხეველსა და ამბიონზე. ამ დროს, „მოვედით თაყვანის-ვსცეთ“-ის შემდგომ, გუნდმა უნდა იგალობოს ე.წ. „დიდი“/„გრძელი“ „ის პოლა“ (იხ. ანთოლოგიის I ტომი, №28, II ტომი, №355—358).

მღვდელთმთავარი ტაძარში მყოფთა აკურთხებს სახარების წაკითხვისა და „დიდი შესვლის“ ჰიმნის — „და ვითარცა“-ს შემდგომაც და ტაძრიდან გასვლის დროსაც. ამ ადგილებზე ანთოლოგიის I, II და III ტომებში მოცემულია შესაბამისი საგალობლები.

2. VIII ხმის ტროპრის მელოდიის მქონე საგალობლების რედაქტირების შესახებ

II ტომის №47—54 „იხარებს სული“-ს, III ტომის №229—232 „რომელნი ქერუბიმა“-სა და „და ვითარცა“-ს, IV ტომის №112—118 „სერობასა საიდუმლოსა შენისასა“-ს, №139—142 „სდუმენინ ყოველი ხორცი კაცებრივი“-ს, №98—101 „შენდამი იხარებს“-ის და №179—184 „ან ძალნი“-ს I ხმის (მთქმელის) მელოდია VIII ხმის (იხოსის) ტროპრის ჰანგია. იგივე მელოდია უდევს საფუძვლად „ცისკარში“ (კარბელაშვილი, 1898) გამოქვეყნებულ ჰიმნებს: „ღმერთი უფალი“ (კარბელაშვილი, 1898:157); აღდგომის ოხითა „მაღლით გარდამოხედ“ (კარბელაშვილი, 1898:158); ღმრთისმშობლისა „რომელი ჩვენთვის“ (კარბელაშვილი, 1898:160); წარდგომა „აღსდევ მკვდრეთით“ (კარბელაშვილი, 1898:163); სვეტიცხოვლობის ოხითა „კათოლიკე ეკლესიისა“ (კარბელაშვილი, 1898:254). უცნობი მიზეზებით იგივე ჰანგი აქვს V (!) ხმის იბაკოს „ჯოჯოხეთად შთახედ“ (კარბელაშვილი, 1898:134) და კონდაკს „ანგელოსთა ხილვითა“ (კარბელაშვილი, 1898:137).

განსაკუთრებით საინტერესოა ფაქტი, რომ კარბელაშვილების, იპოლიტოვიანოვის, ელიზბარაშვილის, მოლოდინაშვილისა და ჩხიკვაძის ხელნაწერებში არსებული, ზემოთ ჩამოთვლილი ჰიმნები, მუხლების ნაირგვარი, ურთიერთგანსხვავებული კილოური შეფერილობით არის დაფიქსირებული. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ ნიმუშების სანყისი მუხლების და, აგრეთვე, კადანსების კილოური მიხრილობის განსხვავებულობით. ზოგ ნიმუშში საგალობლის დასაწყისი თანაყოლერადობა მაჟორული ტერცკვინტაკორდია, ზოგში მინორული. ნიმუშთა ნაწილში სჭარბობს ეოლიური მიხრილობის (ან სხვა მინორული მიხრილობის) კადანსები, ხოლო ჩანაწერთა ნაწილში — მიქსოლიდიური მიხრილობის (ან სხვა მაჟორული მიხრილობის) კადანსები.

ამასთან, აღვნიშნავთ, რომ VIII ხმის ტროპრის მელოდიის მქონე ზემოთ ჩამოთვლილი ქართლ-კახური საგალობლების ხელნაწერ თუ „ცისკარში“ (კარბელაშვილი, 1898) დაბეჭდილ ვარიანტთა ნაწილში ალტერაციის ნიშნები დასმულია უსისტემოდ — მოდალურ-ჰარმონიული კანონზომიერებების შეუსაბამოდ. ამდენად, საბოლოოდ, აუცილებელია ამ საგალობელთა რედაქტირება.

ზოგიერთი ნიმუშის ხელნაწერ თუ „ცისკარში“ დაბეჭდილ პარტიტურებში კი, კილოური მხარე, შედარებით, ცხადად არის გადმოცემული.

¹² ბერძნულად: "Εἰς πῶλλα ἔτη, Δέσποτα", ქართველების მიერ ითქმის: „ის პოლა ეტი დესპოტა“. ქართულად — „მრავალი წელი მეუფეო!“, ან „მრავალი წელი მეუფეს!“.



საბოლოოდ, VIII ხმის ტროპრის მელოდიის მქონე ყველა ჰიმნში, რომლებიც დაბეჭდილია ანთოლოგიის II, III და IV ტომებში (გარდა II ტომის №51 „იხარებს სული“-სა, IV ტომის №98-ა „შენდამი იხარებს, მიმადლებულ“-სი და №179-ა „ან ძალნი“-სა), ალტერაციის ნიშნები დასმულია, როგორც „ცისკარში“ მოცემული ზემოხსენებულ ჰიმნებში, ასევე IV ტომის №182 „ან ძალნი“-ს ხელნაწერში დაფიქსირებული ალტერაციის ნიშნების შეჯერება-გათვალისწინებით — საგალობლის დასაწყისში მინორული ტერცკვინტაკორდით, განმეორებადი მუხლების ბოლოს ეოლიური მიხრილობის კადანსებით.

ანთოლოგიის II ტომის №51 „იხარებს სული შენი“, აღებულია პ. კარბელაშვილის პირადი არქივიდან (ცენტრ. არქ., ფ. 1461, №202 და 201 საქმეები), IV ტომის №98-ა „შენდამი იხარებს“ და №179-ა „ან ძალნი“ — გრ. ჩხიკვაძის (ფოლკ. ცენტრი, ხელნ. №2125) და მ. იპოლიტოვ-ივანოვის (ფოლკ. ცენტრი, ხელნ. №2099) ხელნაწერებიდან.

ამ ჰიმნების პარტიტურებში უცვლელადაა გადმოტანილი ხელნაწერებში მოცემული ალტერაციის ნიშნები.

II ტომის №51 „იხარებს სული“, IV ტომის №98-ა „შენდამი იხარებს“ და №179-ა „ან ძალნი“ კილოურად სხვაობენ ანთოლოგიის II—IV ტომში დაბეჭდილი VIII ხმის ტროპრის ჰანგის მქონე საგალობლების როგორც დედნისეული, ასევე, ჩვენ მიერ რედაქტირებული ვარიანტებისაგან — აქ მუხლების უმრავლესობაში კადანსები არა ეოლიური (ან რომელიმე სხვა მინორული), არამედ მიქსოლიდიური (სულ ბოლო ნაგებობებში, მოძახილის პარტიაში კილოს კოლორიების შედეგად — დორიული) მიხრილობისაა.

მიგვაჩნია, რომ ამ VIII ხმის ტროპრის მელოდიაზე დაფუძნებული საგალობლების რედაქტირება და შესრულება უფრო საინტერესოა და მიზანშეწონილია „ცისკარში“ (კარბელაშვილი, 1898) და ანთოლოგიის II—IV ტომებში წარმოდგენილი ალტერაციის ნიშნებითა და კილოური წყობით.

ამასთან, საჭიროდ მივიჩნიეთ II ტომის №51 „იხარებს სული“-ს, IV ტომის №98-ა „შენდამი იხარებს“-ისა და №179-ა „ან ძალნი“-ს დედნისეული ალტერაციის ნიშნებით გამოქვეყნებაც ჩვენს ანთოლოგიაში.

რადგანაც ქართული გალობის ესთეტიკა და ტრადიციული მუსიკალური ენის კილოური კანონზომიერებები არ ირღვევა, VIII ხმის ტროპრის მელოდიის მქონე საგალობელთა ჰარმონიის ორივე ინტერპრეტაცია მისაღებია.

3. კარბელაშვილისეულ სამზე მეტხმიან საგალობელთა შესახებ

II—IV ტომებში წარმოდგენილია გამოცემებსა თუ ხელნაწერებში დაფიქსირებული, აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციის რამდენიმე სამზე მეტხმიანი საგალობელიც.

სამზე მეტხმიანი ნიმუშებიდან უმრავლესობა რამდენადმე გაურკვეველადაა ნოტირებული, ეს მეტწილად ეხება ალტერაციის ნიშნებს, რომლებიც ბევრ შემთხვევაში აღნიშნული არაა, ან მოდალური ჰარმონიის კანონზომიერებათა დარღვევითაა აღნიშნული. აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციის სამზე მეტხმიან საგალობელთა რედაქტირებისას საკმაოდ რთულია ალტერაციის ნიშნების დასმა და კილოური წყობის რეკონსტრუირება — აქ საკმაოდ ხშირად ჟღერს მაჟორული სეპტაკორდები, რომლებიც ზოგჯერ ტონალური მუსიკის ასოციაციებს აღძრავენ.

ზოგადად, მიგვაჩნია, რომ კარბელაშვილისეულ და ჩიჯავაძისეულ სამზე მეტხმიან საგალობლებს პრაქტიკულ-საშემსრულებლოზე მეტად ისტორიული



მნიშვნელობა აქვთ. ჩანერის გაურკვეველი ხასიათისა და დაუსრულებლობის გამო, სამზე მეტ-ხმთან ნიმუშთა უმრავლესობის შესრულება შეუძლებელია და არაა სასურველი. ამდენად, ეს საგალობლები ანთოლოგიაში დაბეჭდილია ოდესღაც დაკარგულ „ზემრავალხმთან“ ტრადიციასთან მათი მემკვიდრეობითობის, ასევე, სტ. კარბელაშვილის მხრიდან ამ ტრადიციის აღდგენის მცდელობის საჩვენებლად.

* * *

აღსანიშნავია რომ, XIX საუკუნის წერილობით ცნობებში „მაღალი ბანი“ სამხმინი ფაქტურის II ხმას - „მოძახილს“ ეწოდება, „დაბალი ბანი“ კი — III ხმას. ოთხხმინი №180—191 (II ტომში) კვერექსის პირველწყაროში კი (კარბელაშვილი, 1898:79), ოთხხმინი ფაქტურის ქვედა ორი ხმაა სახელდებული როგორც „მაღალი და დაბალი ბანი“. ამასთან, „მწუხრსა“ (კარბელაშვილი, 1897) და „ცისკარში“ (კარბელაშვილი, 1898), ტრადიციულ სამხმინ საგალობლებშიც, ზემოთ ხსენებულ წერილობით წყაროთაგან განსხვავებით, „მაღალი“ და „დაბალი ბანი“ ეწოდება ბანის ინტონირების **ალტერნატიულ**, რეგისტრულად ზედა და ქვედა ვარიანტებს.

4. წირვის აღსავლების/ანტიფონების შესახებ

სამგალობლო კრებულებში და, ზოგადად, ლიტურგიკულ ლიტურატურაში, წირვის პირველი სამი საგალობელი ორგვარი ტერმინით არის სახელდებული: „აღსავალი“ (ძველ ქართულში მალლა ასასვლელს, საფეხურსაც ნიშნავს) და „ანტიფონი“.

„აღსავალი“ ძველი აღთქმიდან მომდინარე ლიტურგიკულ-მუსიკალური ტერმინია. ერთი თვალსაზრისით, მისით აღინიშნებოდა გარკვეული ფსალმუნები და საგალობლები, რომლებსაც გალობდნენ იერუსალიმის ტაძარში შესვლისას, ამ ტაძრის „აღსავლებზე“, ანუ საფეხურებზე. მეორე თვალსაზრისით კი, „აღსავლები“ ეწოდებოდა იერუსალიმში ამავალი პილიგრიმების საგალობლებს.

სხვა განმარტებით, ფსალმუნისა თუ საგალობლის სახელდება „აღსავალად“, მათ შინაარსში გადმოცემული სულიერი ამალლების სხვადასხვა საფეხურის, მეტაფიზიკური ეტაპის გამომხატველია.

მუსიკის ისტორიასა და ლიტურგიკაში მიჩნეულია, რომ ქრისტიანობამდელი (ბიბლიურ-ებრაული, ანტიკური ბერძნული თუ აღმოსავლური რელიგიების) რელიგიური პროცესების პრაქტიკა ლიტანიების სახით, ქრისტიანულ ღვთისმსახურებაშიც შემოვიდა. ვარაუდობენ, რომ ძველად ჟამისწირვის პირველი ნაწილი სწორედ ლიტანიის — ტაძარში საღვთისმსახურო-რიტუალური შესვლის თანმხლები საგალობლები იყო. დღესასწაულებზე ტაძრისკენ მსვლელობისას, ან ტაძარში შესვლისას IV-V საუკუნეებში იგალობებოდა ანტიფონი/აღსავალი (ფსალმუნში ჩართული სხვადასხვა საგალობლები, მაგ. „წმიდაო ღმერთო“)¹³ და „უფალო შეგვიწყალებ“; დაახლოებით VIII—IX ან უფრო შემდგომი საუკუნეებიდან დღემდე — ანტიფონთა/აღსავალთა „ტრიადა“, მისგან მოგვიანებით გამოყოფილი „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“ და „წმიდაო ღმერთო“ და მათ შორის ჩართული „უფალო შეგვიწყალებ“. სხვათა შორის, ეს წესი შემონახულია რომის ეკლესიის ღვთისმსახურებაშიც — წმიდა ამბროსი მედიოლანელის ლიტურგიის დასაწყისში, საკურთხევისკენ მსვლელობისას **Kyrie eleison** იგალობება, ხოლო რომაულ მესაში

¹³ლიტურგიკის ისტორიიდან ცნობილია, რომ წირვის პირველ ნაწილში საგალობლები და, აგრეთვე, მათი რაოდენობა და თანმიმდევრობა, სხვადასხვა საუკუნეში ცვალებადი და განსხვავებული იყო (სკაბალანოვიჩი, 2008).



მას წირვის დაწყების შემდგომ („შესვლის“ ანტიფონთან ერთად, ან ზოგჯერ, მის მაგივრად) გალობენ.

თანამედროვე ლიტურგიის ამ ნაწილში, რიტუალური პროცესია შემდეგი სახით არის შემორჩენილი: I და II აღსავლების გალობისას მღვდელთმთავარი დგას ტახტთან და კითხულობს საიდუმლო ლოცვებს, ხოლო სამღვდელოება ნაწილ-ნაწილ შედის საკურთხეველში. III აღსავლის შესრულებისას არქიდიაკვანი და სამღვდელოება საკურთხეველიდან გამოაბრძანებენ სახარებას, შემოუვლიან ტაძრის შიდა სივრცეს. შემდგომ კი, დიაკვნის მოწოდების პასუხად იგალობება „მოვედით თაყვანის-ვსცეთ“ და აღესრულება მღვდელთმთავრისა და სამღვდელოების „მცირე შესვლა“ საკურთხეველში.

ტერმინი „ანტიფონი“ ამ საგალობლების შესრულების ფორმას ასახავს, წარმოშობილს როგორც ბიბლიური ღვთისმსახურების, ასევე, ანტიკური ბერძნულ-რომაული მუსიკალური და დრამატული ხელოვნების ორგუნდოვანი შემსრულებლობიდან.

ლიტურგისტები თანამედროვე ლიტურგიაში წირვის აღსავლების/ანტიფონების სამ სახეობას გამოყოფენ:

ა) „გამომსახველობითი“ აღსავლები:

I — 102-ე ფსალმუნი „აკურთხევს სული ჩემი უფალსა“;

II — 145-ე ფსალმუნი „აქებს სული ჩემი უფალსა“ და მასზე დართული „დიდება-ან და“ და ჰიმნი „მხოლოდშობილი ძე“;

III — „მომისხენენი“ („9 ნეტარება“, „ნეტარ-იყვნენი“, „ნეტარებები“, „სასუფეველსა შენსა“);

ბ) „ყოველთა დღეთა“ (ყოველდღიური) აღსავლები/ანტიფონები;

გ) სადღესასწაულო აღსავლები/ანტიფონები.

* * *

ჩვენთვის უცნობი მიზეზით, ქართული გალობის ყველა წყაროში მოცემულია 102-ე ფსალმუნის მხოლოდ ერთი მუხლის სანოტო ჩანაწერები, ხოლო 145-ე ფსალმუნის სანოტო ჩანაწერი არც ერთ წყაროში არ არის დაცული — ყველგან წირვის II აღსავალად „დიდება-ანდა“¹⁴ და/ან „მხოლოდშობილი ძე“ არის დაფიქსირებული.

ამასთან, ჩანს, რომ არსებობდა 102-ე ფსალმუნიდან გამოკრებილი მუხლების შესრულების ტრადიციაც — ასეთია II ტომის №251 საგალობელი.

ვფიქრობთ, რომ XIX-XX საუკუნეთა სამგალობლო-სანოტო წყაროებში I აღსავალის 102-ე ფსალმუნის მხოლოდ 1 მუხლის (II ტომის №251 საგალობელს თუ არ ჩავთვლით) დაფიქსირება, ხოლო II აღსავალში 145-ე ფსალმუნის გამოტოვება ორი სავარაუდო მიზეზით შეიძლება აიხსნას: ა) XIX საუკუნეში ამ ფსალმუნებს კითხულობდნენ და არ გალობდნენ; ბ) ეს ფსალმუნები იგალობებოდა აღსავალთა უმარტივეს რეჩიტატიულ ჰანგებზე; ამიტომ გალობის ჩანერისას სანიმუშოდ მხოლოდ 1 მუხლი იყო ნოტირებული და დანარჩენი მუხლები მათ მიხედვით სრულდებოდა. ბოლო ათწლეულების ქართულ ლიტურგიაში ოქროპირის წირვის I და II „გამომსახველობითი“ აღსავლები სრულდება ზუსტად ისე, როგორც ისინი XIX-XX საუკუნეთა სამგალობლო-სანოტო წყაროებშია მოცემული — I ანტიფონში 102-ე

¹⁴ აღსანიშნავია, რომ II ტომში მოცემული „მხოლოდშობილი“-ს ყველა ვარიანტი წყაროებში იწყება ტექსტით „ან და მარადის“. ამ ნიმუშების წინ „დიდება მამასა...“ ჩვენი ჩამატებულია.



ფსალმუნის მხოლოდ ერთი მუხლი იგალობება, II-ში კი, საერთოდ არ სრულდება 145-ე ფსალმუნი.¹⁵

სურვილის შემთხვევაში, მწირველ მღვდელმსახურთან შეთანხმებით, მგალობლებს შეუძლიათ იგალობონ როგორც გამოკრებილი (№251), ასევე, მთელი 102-ე და 145-ე ფსალმუნებიც. სწორედ ასეთი შემთხვევისათვისაა განკუთვნილი, ჩვენ მიერ განყოფილი II ტომის №252, 276, 437 და №438 საგალობლები.

მგალობლებს, ასევე, შეუძლიათ 102-ე და 145-ე ფსალმუნები №244—250 და 277—281 ანტიფონებიდან ნებისმიერის მუსიკაზე გაანყონ და იგალობონ.

* * *

„გამომსახველობით“ აღსავლების (ანტიფონების) ნაცვლად, ზოგიერთ დღეს იგალობება „ყოველთა დღეთა“ (ყოველდღიური) ანტიფონები, ხოლო საუფლო დღესასწაულებზე — სადღესასწაულო ანტიფონები.

ისინი შედგება ფსალმუნის მუხლებისაგან (ცვალებადი პოეტური ტექსტით) და მათზე დართული რეფრენებისაგან (ჩასართავებისაგან).

„ყოველთა დღეთა“ (ყოველდღიური) ანტიფონების რეფრენებია:

I აღსავალში - „მეოხებითა ღმრთისმშობელისათა, მაცხოვარ, გვაცხოვნენ ჩვენ!“;

II აღსავალში - „მეოხებითა წმიდათა შენთათა, მაცხოვარ, გვაცხოვნენ ჩვენ!“;

III აღსავალში:

სადაგ დღეს - „გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო ღმრთისაო, წმიდათა შორის საკვირველო, მგალობელნი შენნი; ალილუია!“;

კვირას - „გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო ღმრთისაო, აღდგომილო მკვდრეთით, მგალობელნი შენნი; ალილუია!“;

სადღესასწაულო ანტიფონების რეფრენებია:

I აღსავალში - „მეოხებითა ღმრთისმშობელისათა, მაცხოვარ, გვაცხოვნენ ჩვენ!“;

II აღსავალში ტექსტი ცვალებადია და კონკრეტული დღესასწაულით არის განპირობებული. მაგალითად: აღდგომას იგალობება: „გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო ღმრთისაო, აღდგომილო მკვდრეთით, მგალობელნი შენნი; ალილუია!“; შობას - „გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო ღმრთისაო, შობილო ქალწულისაგან, მგალობელნი შენნი; ალილუია!“ და ა.შ.;

III „სადღესასწაულო“ ანტიფონში კი, ფსალმუნის მუხლის რეფრენი დღესასწაულის ტროპარია ხოლმე.

ანტიფონების ასეთი სტრუქტურა ბიბლიურ-ებრაული და ანტიკური კულტურების რესპონსორულ-ეპიფონური¹⁶ შემსრულებლობიდან იღებს სათავეს.

სვეტიცხოვლის სკოლის საგალობელთა წყაროებში არაა ყოველდღიური აღსავლების ჩანაწერები. ამასთან, ძმები კარბელაშვილების სანოტო არქივებში შემონახულია სადღესასწაულო ანტიფონები, უმეტესად ნაკლული სახით. II ტომში დაბეჭდილია კარბელაშვილების ჩანაწერებში არსებული სადღესასწაულო ანტიფონების ყველა ფრაგმენტი.

სადღესასწაულო ანტიფონების ჰანგებზეა ჩვენ მიერ განყოფილი „ყოველთა დღეთა“ ანტიფონები და დიპტიქები, რომლებიც აუცილებლად საჭიროა ღვთისმსახურებაში, მაგრამ, მათი სანოტო ჩანაწერები არ მოიპოვება.

სრული სახით ქართლ-კახური სადღესასწაულო ანტიფონები დაიბეჭდება ანთოლოგიის შესაბამის ტომში.

¹⁵ თანამედროვე ლიტურგიაში, ზოგჯერ 102-ე და 145-ე ფსალმუნებს კითხულობენ ხოლმე.

¹⁶ ეპიფონური ისეთ რესპონსორს ეწოდება, როდესაც სოლისტის, ან I გუნდის ფრაზებს ცვალებადი ტექსტით, პასუხად ერთვოდა მთელი კრებულის ან II გუნდის უცვლელი ტექსტის მქონე რეფრენი.

5. 8 ხმის სისტემის „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“ და „წმიდაო ღმერთო“

სტ. კარბელაშვილის თქმით: „...ქართველთა ერის ეკლესიას... აქვს მთავარი 8 ხმა, რომელიც იხმარება კვირიდან კვირამდე, ამის გარდა მას აქვს 8 ხმა თვითხმოვანი, რომელიც არ წააგავს მთავარ 8 ხმას. აქვს 8 ხმა იამბიკური, 8 ხმა ავაჯური, 8 ხმა ანტიფონური, 8 ხმა წირვისა, 8 ხმა საცისკრო ძლისპირები“ (შულღიაშვილი, 2014:64).

ე.წ. „ავაჯური“ და „იამბიკური“ 8 ხმის საგალობელთა სრული კორპუსი ჩვენამდე, ფაქტობრივად, არ მოსულა. ამასთან, II—IV ტომებში ჩანს, რომ ჩვენამდე მოვიდა კარბელაშვილთა მიერ ნოტირებული წირვის 8 ხმის ზოგიერთი ჰიმნი. ასეთთა შორისაა: „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“, „წმიდაო ღმერთო“, III—IV ტომებში მოცემული სამოციქულოს წარდგომები, „რომელნი ქერუბიმთა“, მისი ნაცვალის საგალობლები და სხვ.

ამასთან, II—IV ტომში მოცემულ წირვის 8 ხმის საგალობელთა უმრავლესობა ეფუძნება 8 ხმის ცისკრის ანტიფონთა, ან ტროპრების, ან დასდებელთა მელოდიებს და არა აქვთ დამოუკიდებელი, განსხვავებული მელოდიები 8 ხმისა, როგორც სტ. კარბელაშვილი აღნიშნავს.

* * *

სადღეისოდ მოქმედი ტიპიკონითა და ლიტურგიკული პრაქტიკით „მოვედით, თაყვანის ვსცეთ“ 8 ხმის სისტემას არ განეკუთვნება.

სტ., პ. და ფ. კარბელაშვილების, მ. იპოლიტოვ-ივანოვის, მ. ელიზბარაშვილისა და დ. მოლოდინაშვილის ხელნაწერებსა და გამოცემებში შემონახულია ერთ ინვარიანტზე დაფუძნებული, II ტომის №333—340 „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“; აგრეთვე სხვა საზიარო მელოდიურ მოდელზე დაფუძნებული №341—347, „მღვდელთმთავრის“ „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“.

ამასთან ერთად, პ. კარბელაშვილის პირად არქივში (ცენტრ. არქ., ფ. 1461, საქმე №209) დაცულია №349, II ხმის და ბოლონაკლული №351, V ხმის „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“-ის მელოდიათა ჩანაწერები, რომლებზეც მითითებულია მათი ინტონაციური „დედანი“ — „ანტიფონებზედ“ (შედარებამ გვიჩვენა, რომ იგულისხმება ცისკრის ანტიფონები). ამავე ფურცელზე ჩანერილია ე.წ. „იამბიკოს“ IV ხმის №401 „წმიდაო ღმერთო“-ს მელოდია და ჩამოთვლილია 8 ხმის სისტემის „წმიდაო ღმერთო“-ებიც („სოფრ. II ხმა, ჩვეულ. I ხმა, მიცვალ. თვითხმოვანი“). აქვე ჩანერილია — „ჩვეულებრივი — IV ხმა“. აქ, სავარაუდოდ, მითითებულია №333—340, „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“-ის შესახებ. ამ ჰიმნებისა და IV ხმის ანტიფონების (კარბელაშვილი, 1898:197—199) საწყისი მუხლების ინტონაციები იდენტურია.

ეს ფურცელი ადასტურებს — მიუხედავად იმისა, რომ კარბელაშვილთა არქივებში „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“-ის 8 ხმის სისტემის არასრული რაოდენობის ნიმუშებილაა შემონახული, ძმებმა კარბელაშვილებმა იცოდნენ, ან აპირებდნენ, რომ აღედგინათ 8 ხმის ხსენებული ჰიმნები; ამისთვის ისინი ინტონაციურ ფონდად ცისკრის ანტიფონებს იყენებდნენ.

ძმები კარბელაშვილების არქივებში ჩანს, რომ მათ ტრადიციაში ცისკრის 8 ხმის ანტიფონები (კარბელაშვილი, 1898:188—212) მრავალი სხვა ჟანრის ინტონაციური წყარო/ფონდი, კონტრაფაქტურული გადამუშავებისათვის განკუთვნილი „დედნები“ იყო. სტ. კარბელაშვილის ერთ-ერთ ხელნაწერში ეს ჰიმნები პირდაპირ ასეა



დასათაურებელი: „ანტიფონები. დედნები“. ანთოლოგიის II-III ტომებში დაბეჭდილი ამ ანტიფონების ინტონაციებზე დაფუძნებული მრავალი საგალობელი: II ტომის №388 „წმიდაო ღმერთო“, III ტომში დაბეჭდილი სამოციქულოს წარდგომები და №363 „მამაო ჩვენო“. ამ უკანასკნელის, II ტომის №349 „მოვედით“-ისა და ცისკრის ღვთისმშობლის გალობის „ადიდებს სული ჩემი უფალსა“-ს ბოლო რეფრენი „უპატიოსნესსა“ (კარბელაშვილი, 1898:226—229), სწორედ II ხმის საცისკრო ანტიფონების (კარბელაშვილი, 1898:191—193) ინტონაციებზეა განწყობილი.

8 ხმის „მოვედით“-ისა და ცისკრის ანტიფონების ურთიერთმიმართების შესახებ საინტერესო ცნობას გვაძლევს პ. კარბელაშვილი: „...სოფრონს (არქიმანდრიტს, არაგვის ერისთავს) სხვა ხმათა შორის მოსწონებია II ხმა და მრავალნი საგალობელნი ამ II ხმაზედ მოუმართავს. მაგ. II ხმის ანტიფონის „ზეცად მიმართ თვალთა“-ს კილოზედ მოუწყვია წირვაზედ საგალობელი „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ...“ (კარბელაშვილი, 2011:65). პ. კარბელაშვილის არქივში დაცული II ხმის №349 „მოვედით თაყვანის-ვსცეთ“. მართლაც, ეფუძნება ცისკრის ხსენებული ანტიფონების (კარბელაშვილი, 1898:191) ინტონაციას.

აღსანიშნავია, რომ დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვისეული, IV ტომის №12 „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“-ის მელოდია კარბელაშვილთა ტრადიციის, II ტომის №349 „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“-ის მსგავსია და ეფუძნება ცისკრის II ხმის ანტიფონთა (კარბელაშვილი, 1898:191—193) მელოდიას. სხვათა შორის, ჩიჯავაძისეული ნიმუში გამოირჩევა გელათის სკოლის „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“-თა და სხვა „შესლვადთა“ ინტონაციური სიახლოვეთაც.

„მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“-ის 8 ხმის სისტემის - II, IV და V (არასრულად) ხმების მელოდიები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციამ შემოგვინახა. დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის წერილობით-სანოტო წყაროებში არსებულ, საერთო არქეტიპულ მოდელზე დაფუძნებულ „მოვედით“-ის (და მათ მონათესავე ქართლ-კახური „სამღვდელთმთავრო“ „მოვედით“-ის) ვარიანტებს, არ აქვს მითითება 8 ხმის სისტემისადმი მიკუთვნებულობის შესახებ. ძველი ქართული ტერმინოლოგიით, ისინი „თვითხმოვანნი“ არიან (ან, დავინწყებუღია, რომელ ხმას მიეკუთვნებოდნენ ისინი).

* * *

თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში „წმიდაო ღმერთო“ რვა ხმის სისტემას არ განეკუთვნება. პ. და ფ. კარბელაშვილების, მ. იპოლიტოვ-ივანოვის, მ. ელიზბარაშვილის, დ. მოლოდინაშვილისა და დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის ხელნაწერებში შემონახულია „ჩვეულებრივი“ ჰანგის მქონე (იხ. II ტომი, №380—386) და, აგრეთვე, II ხმის (არქიმანდრიტ სოფრონის), მიცვალებულთა და ე.წ. „მღვდელთმთავრის“ „წმიდაო ღმერთო“-ს ვარიანტები.

სტ. კარბელაშვილის არქივში, II ტომის №380—386, „ჩვეულებრივი“ „წმიდაო ღმერთო“-ს მხოლოდ ერთ ვარიანტს — №381 საგალობელს აქვს აღნიშვნა, რომ იგი I ხმისაა. №381 ჰიმნის ხელნაწერშივე მინაწერია „ჩვეულებრივი“, რაც მიგვითითებს, რომ პრაქტიკაში ამ მელოდიის მქონე ვარიანტები ყველაზე გავრცელებული იყო.

პ. კარბელაშვილის არქივში დაცულია წინამდებარე კრებულის №401, IV ხმის „წმიდაო ღმერთო“-ს ხელნაწერებიც, რომელთაგან ერთში (ცენტრ. არქ., ფ. 1461, საქმე №209, ფურც. 10), ჰიმნი სახელდება როგორც „IV ხმა, იამბიკო“; და მიწერილია 8 ხმის სისტემის „წმიდაო ღმერთო“-თა ჩამონათვალი: „სოფრ. II ხმა, ჩვეულ. I ხმა, მიცვალ. თვითხმოვანი“.



სტ. კარბელაშვილის არქივში აგრეთვე დაცულია I ხმის №380—386 „წმიდაო ღმერთო“-საგან განსხვავებული მელოდიის მქონე II ტომის №387 „წმიდაო ღმერთო“-ც და II ტომის №388, II ხმის „წმიდაო ღმერთო“-ც, რომელიც II ხმის საცისკრო ანტიფონთა მელოდიის მქონეა. ამავე არქივში შემონახულია IV, VI და VIII ხმების „წმიდაო ღმერთო“-ების (II ტომი, №400, 403, 405, 406) სანოტო ჩანაწერებიც. ეს ჩანაწერები ჩადებული იყო გადაკეცილ ფურცელზე, რომელზეც მიწერილია: „რომელნი ქერაბინნი რვა ჯმაზედ და წმიდაო ღმერთოები“.

ისევე, როგორც „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“-ის შემთხვევაში, კარბელაშვილთა არქივებში „წმიდაო ღმერთოს“ რვა ხმის სისტემის არასრული რაოდენობის ვარიანტებია დაცული, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ადასტურებს, რომ ძმებმა კარბელაშვილებმა იცოდნენ, ან აპირებდნენ, აღედგინათ 8 ხმის ხსენებული ჰიმნები.

„წმიდაო ღმერთო“-ს 8 ხმის სისტემის მელოდიები მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველოს, სვეტიცხოვლის სკოლის, კარბელაშვილთა სამგალობლო ტრადიციამ შემოგვინახა. დასავლურ-ქართული „წმიდაო ღმერთო“-ები თვითხმოვანია და ერთ საერთო მელოდიურ არქეტიპს ეყრდნობა. მათი მსგავსი მელოდიური არქეტიპის მქონე კარბელაშვილთა ტრადიციის ნიმუშებს ხელნაწერებში „მღვდელთმთავრის“ ან „სამღვდელთმთავრო წმიდაო ღმერთო“ ეწოდება (იხ. წინამდებარე ტომის №407—410 ჰიმნები).

* * *

კარბელაშვილთა მემკვიდრეობაში IV ხმის „წმიდაო ღმერთო“-ს 3 ჩანაწერია დაცული: II ტომის №400 ნიმუში, რომლის ინტონაციური „დედანიც“, ხელნაწერში არსებული მინაწერის მიხედვით, წმიდა ნინოს IV ხმის ტროპარია და ზემოხსენებული №401 საგალობელი პ. კარბელაშვილის არქივიდან (ფონდი 1461, საქმე 202, 209). №401 ჰიმნი პ. კარბელაშვილის არქივში მცირედ განსხვავებული ორი ვარიანტის სახით არის შემონახული, რომელნიც წინამდებარე პარტიტურაში წარმოდგენილია, როგორც ა და ბ ვარიანტები. ხელნაწერში მითითებულია, რომ ეს არის „წმიდაო ღმერთო“ „იამბიკოს ხმაზედ, ხმა IV“. მართლაც, პ. კარბელაშვილის არქივშივე დაცულია მსგავსი მელოდიის მქონე 2 ცნობილი იამბიკოც — „ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი“ და „შენ ხარ ვენახი“ (ანთ. III ტომი, №385-386). ამ საგალობელთა ჰანგი იმავე ინტონაციურ მოდელს, იმავე არქეტიპულ მელოდიურ კონტურს ეფუძნება, რასაც „შენ ხარ ვენახის“ დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციების (გელათისა და შემოქმედის სკოლების) ვარიანტები.

ამასთან, №401 „წმიდაო ღმერთო“-ს პოეტური ტექსტი იამბიკური ფორმით არ ხასიათდება, აქ მხოლოდ IV ხმის იამბიკოს მელოდიის გამოყენებული.

სტ. კარბელაშვილის ზემოთ მოყვანილ სიტყვათა თანახმად, ქართული გალობის თავისებურება იყო „8 ხმა იამბიკური“ მელოდიების არსებობა. თუ გავითვალისწინებთ იამბიკოს ფორმის განსაკუთრებულ პოპულარობას შუა საუკუნეთა ქართულ ჰიმნოგრაფიაში, სავსებით დასაშვებია ჩანს, რომ ამ სახით დანერგილი საგალობლები, მართლაც, 8 ხმის საკუთარი ჰანგებით იმღერებოდა.

სტ. კარბელაშვილის არქივში დაცულია სანოტო ფურცელი სათაურით „8 რვა ჯმა იამბიკონი“. ამ ფურცელზე სტ. კარბელაშვილს დაუწყია ნოტირება იამბიკოთა 8 ხმის მელოდიებისა. მაგრამ აქ ნოტირებული მასალა არაა; ჩამონერილია ხმები და რამდენიმესთანაა მიწერილი საგალობელთა სათაურები: I ჯმა — „დავითს მნათობსა“; VI ჯმა — „აღდგომასა შენსა“, „შენ ხარ ვენახი“; VIII ჯმა — „ღირს არს ჭეშმარიტად“.



ამ ჩამონათვალთან იამბიკური ტექსტი მხოლოდ „შენ ხარ ვენახს“ აქვს. „დავითს მნათობსა“ არ იძებნება ქართულ საგალობელთა ჩვენამდე მოსულ სანოტო და ნევმირებულ ჩანაწერებში, ხოლო „ღირს არს ჭეშმარიტად“ და „აღდგომასა შენსა“ არაა იამბიკური ფორმის ტექსტები. ამასთან, „აღდგომასა შენსა“-ს და „შენ ხარ ვენახი“-ს VI ხმის მელოდიათა მსგავსებას თუ გავითვალისწინებთ, სავსებით დასაშვებია, რომ იამბიკოს 8 ხმის კოლექციიდან იყოს „ღირს არს“-ის ჩვენამდე მოსული 4 მელოდიიდან¹⁷ რომელიმე. თუმცა, ამ ეტაპზე, უცნობია, კონკრეტულად რომელი.

დღეისათვის, ჩვენამდე ნოტირებული ან ზეპირი მუსიკალური ტრადიციით მოსული იამბიკოები ორ — VI ხმის ტროპარ-დასდებელთა და IV ხმის „იამბიკოს“ მელოდიებზეა განწყობილი:

VI ხმის მელოდიაზე „შენ ხარ ვენახი“-სა და „ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი“-ს აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო თუ ფოლკლორული ტრადიციების სხვადასხვა ნიმუშია დაფუძნებული.

იამბიკოთა IV ხმის მელოდიაზე დაფუძნებული ჰიმნები კი, სამივე სამგალობლო სკოლაში გვხვდება. მათ შორისაა: სვეტიცხოვლის სკოლის ნიმუშები — II ტომის №401 „ნმიდაო ღმერთო“; III ტომის №385 „ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი“ და №386 „შენ ხარ ვენახი“; სვეტიცხოვლობის ჰიმნი-იამბიკო „კვართი რომელი“ პ. კარბელაშვილის არქივიდან (ცენტრ. არქ., ფ. 1461, საქმე №203); „შენ ხარ ვენახი“-სა და „ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი“-ს დასავლეთ საქართველოს სამგალობლო თუ ფოლკლორულ ტრადიციათა ნიმუშები; „გვირგვინი მკლავმან ძლიერმან დაგადგა შენ“ და „ოქრო-ნილოსით მრწყველი სიბრძნით ქართველთა“ (ხუნდაძე, 1911:51; იხ. ანთ. V ტომი, №69, 70).

ლ. ვეშაპიძემ მიაკვლია მსგავსი ჰანგის მქონე IV ხმის ძლისპირებს „სამსახეობა სამებისა“ (Q689:42) და „ლოცვამან ანნა წინასწარმეტყველისამან“ (Q689:47) (იხ. ანთ. VIII ტომი, №40, 45). ამასთან, ამ საგალობელთა პოეტურ ტექსტებში იამბიკოსათვის დამახასიათებელი მარცვალთა რიცხოვნება არაა დაცული.

* * *

წინამდებარე გამოცემა, სვეტიცხოვლის სკოლის სამგალობლო ტრადიციის წირვის ჰიმნების სრულად გამომზეურებასთან ერთად, მიზნად ისახავს ამ მასალის ლიტურგიკული ასპექტით სისტემატიზაცია-სრულყოფასაც (სანოტო მასალის თავისებურებების გამო). ამ მიზნიდან გამომდინარე, რადგანაც კარბელაშვილების სანოტო ხელნაწერთა არქივებში დაფიქსირებულია II, IV და V ხმების „მოვედით“-ები, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ამ საგალობლის 8 ხმის სრული კორპუსი წარმოგვედგინა წინამდებარე კრებულში, „დაკლებული“ — I, III, VI, VII და VIII ხმების მელოდიებზე გაგვეწყო და დაგვებეჭდა ისინი. ამ საგალობელთა ინტონაციურ საფუძვლად, კარბელაშვილთა ტრადიციისამებრ, გამოვიყენეთ ცისკრის 8 ხმის ანტიფონები.

წყაროებში არ იძებნება III, V და VII ხმების „ნმიდაო ღმერთო“-ების ხელნაწერები. წინამდებარე ტომში წარმოდგენილია ამ ხმების ტროპრების მელოდიებზე ჩვენ მიერ განწყობილი №399, 402 და 404 „ნმიდაო ღმერთო“-ც.

¹⁷ ვგულისხმობთ, სვეტიცხოვლის, გელათისა და შემოქმედის სკოლების წირვის „ღირს არს“-ების საერთო არქეტიპულ მელოდიას, სვეტიცხოვლისა და გელათის სკოლების სამღვდელთმთავრო „ღირს არს“-თა 2 მელოდიას და რ. ხუნდაძის მიერ დაფიქსირებულ (ხუნდაძე, 1911:26) განსხვავებულ „ღირს არს“-ს, რომელიც VI ხმის ძლისპირთა ჰანგზეა განწყობილი.

6. „მღვდელთმთავრის“ „წმიდაო ღმერთო“-ს შესახებ

აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის სანოტო წყაროებში შემონახულია, „თვითხმოვანი“, საკუთარი ჰანგის მქონე „წმიდაო ღმერთო“-ებიც, რომლებსაც ხელნაწერებში „მღვდელთმთავრის“, „სამღვდელთმთავრო“ ან „მღვდელთმთავრული“ ეწოდება. ისინი დაბეჭდილია წინამდებარე ტომში — 407—410 ნომრებად.

ცხადია, ეს სახელწოდება საგალობლის ლიტურგიკულ ფუნქციას — მის სამღვდელთმთავრო წირვის რეპერტუარისადმი კუთვნილებას გამოხატავს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ „წმიდაო ღმერთო“-ებთან ინტონაციური მსგავსებით გამოირჩევა №341—347 „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“, რომლებსაც, ხელნაწერებში, ასევე, „მღვდელთმთავრის“ ეწოდება. ორივე დასახელების ჰიმნების სხვადასხვა ვარიანტს მსგავსი აქვთ მუხლთა საკადანსო საქცევები და საერთო ინტონაციური და ჰარმონიული კოლორიტი.

შესაბამისად, საფიქრებელია, რომ XIX საუკუნეში (შესაძლოა, მანამდეც) სახელწოდება „მღვდელთმთავრის“, ამ საგალობლების მელოდიის, ხმის (როგორც სახასიათო ინტონაციათა ფონდის) აღმნიშვნელი ტერმინიც იყო — მელოდიის შემადგენელი ინტონაციურ-სინტაქსური ერთეულების, ან ჭრელებისათვის სახელდების ტრადიციის მსგავსად.

სვეტიცხოვლის სკოლის „მღვდელთმთავრის მოვედით თაყვანის-ვსცეთ“-ის მსგავსად და მათზე უფრო მეტად და თვალსაჩინოდ, „მღვდელთმთავრის წმიდაო ღმერთო“-ები ინტონაციურად, მელოდიური კონტურით, სიტყვიერი და მუსიკალური ცეზურების ურთიერთმიმართებითა და სტრუქტურული თავისებურებებით, ენათესავება გელათის სკოლის „წმიდაო ღმერთო“-ებს (ნოტირებულთ ფ. ქორიძის, ე. კერესელიძისა და რ. ხუნდაძის მიერ).

7. მიცვალებულთა „წმიდაო ღმერთო“-ს შესახებ

სტ. და პ. კარბელაშვილების, მ. იპოლიტოვ-ივანოვის, მ. ელიზბარაშვილისა და დ. არაყიშვილის მიერ შემონახულია მიცვალებულთა ღვთისმსახურების „წმიდაო ღმერთო“-ს 16 ვარიანტი (II ტომის №411—425 და IV ტომის №75).

ეს საგალობლები, ძირითადად, ჩანერილია წესის აგებისა და პანაშვიდის ჰიმნებთან ერთად. სავარაუდოდ, ეს განგებები სწორედ ამ „წმიდაო ღმერთო“-ებით იწყებოდა. მინაწერებიდან ჩანს, რომ ეს ჰიმნი, ასევე, იგალობებოდა მიცვალებულის გასვენებისა და დაკრძალვის დროს. დ. არაყიშვილის IV ტომის №75 ნიმუში წირვის „წმიდაო ღმერთო“-ებს შორის აქვს დაფიქსირებული. ასე რომ, დასაშვებია ამ „წმიდაო ღმერთო“-ების გალობა მიცვალებულის სულის საოხად აღვლენილ წირვაზეც (დღეს „შეკვეთილ“ წირვას რომ უწოდებენ).

„მიცვალებულთა წმიდაო ღმერთო“-ები ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ხმათასვლით (განსაკუთრებით, მრავალფეროვანი იმპროვიზაციულ-მიკრომელოდიური სვლებით „გამშვენებული“ მოძახილით), ასევე, კილოურ ელფერთა გრადაციით — სხვადასხვანაირად დასმული ალტერაციის ნიშნებით და სხვადასხვაგვარი კილოური მოდულაციებითა თუ გადახრებით — მიუხედავად იმისა, რომ საგალობლის ყველა ვარიანტი ეყრდნობა ერთ მელოდიურ-კომპოზიციურ არქეტიპს.

ასეთი მაგალითები ცხადყოფენ, რომ არქეტიპული მოდელის მრავალხმიანი განხორციელების პროცესში სამგალობლო მუსიკალურ აზროვნებას ჰარმონიული და



პოლიფონიური მრავალფეროვნება ახასიათებს, რაც ცხადად წარმოგვიდგენს ამ აზროვნების იმპროვიზაციულ-დინამიკურ ბუნებასა და ესთეტიკურ სიმდიდრეს.

აღსანიშნავია, რომ გელათის სკოლის და, ასევე, სვანურ სასიმღერო ტრადიციაში შემონახული მიცვალებულთა „წმიდაო ღმერთო“-ებიც იმავე მელოდიურ-კომპოზიციურ არქეტიპს ემყარებიან, რასაც №391—405 საგალობლები. ეს გარემოება ჩვენი საეკლესიო და ხალხური მუსიკალური შემოქმედების სხვადასხვა ნაკადის ერთიანობაზე მეტყველებს.

8. ტიპიკონური მითითება „წმიდაო ღმერთო“-სა და მის ნაცვალ ჰიმნთა შესახებ

დღეს მოქმედი ქართული ლიტურგიკული ტრადიციით, სამღვდელთმთავრო წირვაზე „წმიდაო ღმერთო“ შემდეგი წესით სრულდება:

„წმიდაო ღმერთო“ — სამჯერ;

მღვდელთმთავრის ასამაღლებელი „გარდამოიხილე ღმერთო“;

„წმიდაო ღმერთო“ — ორჯერ (სურვილის შემთხვევაში, II „წმიდაო ღმერთო“ რეჩიტატივით);

„დიდება-ანდა“ (რეჩიტატივით);

„წმიდაო უკვდავო შეგვიწყალებ ჩვენ“ (რეჩიტატივით);

„წმიდაო ღმერთო“ — ერთხელ.

სამღვდლო წირვაზე იგალობება სამგზის „წმიდაო ღმერთო“ (სურვილისამებრ III „წმიდაო“ რეჩიტატივით) შემდეგ „დიდება, ანდა+წმიდაო უკვდავო“ (რეჩიტატივით). ბოლოს კვლავ „წმიდაო ღმერთო“ ერთხელ.

ფ. ქორიძის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ჰიმნის რეჩიტატიული ნაწილის შემდეგ და ბოლო „წმიდაო ღმერთო“-ს წინ, ასევე, იგალობებოდა სიტყვა-მოწოდება „ძალთა“ (იხ. ანთოლოგიის I ტომი, №34 „წმიდაო ღმერთო“, შენიშვნა „ძალთა“-ს შესახებ. გვ. 115).

იმავენაირად იგალობება „რაოდენთა ქრისტეს მიერ“ (საუფლო დღესასწაულებზე) და „ჯვარსა შენსა“ (დიდი მარხვის III კვირას და ჯვართამაღლებაზე).

შემდგენელ-რედაქტორის მადლიერების სიტყვა ანთოლოგიის II—IV ტომებისათვის

ანთოლოგიის II, III და IV ტომები მრავალწლიანი შრომისა და კვლევის და, შეიძლება ითქვას, ჩემი ცხოვრების საეტაპო ნაშრომია. ამიტომაც, მინდა, უდიდესი მადლიერებით მოვიხსენიო ის ადამიანები, ვისი შენევნითა და განუზომელი თანადგომითაც მოხერხდა ამ 3 ტომის მომზადება და გამოცემა.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში და ზოგადად, ტრადიციული მუსიკის სფეროში განხორციელებული სასიკეთო ცვლილებებისა და მზრუნველობისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა ანთოლოგიის „ქართული გალობა“ გამოცემა, ვმადლობ ბატონ ბიძინა ივანიშვილს;

მადლობას ვწირავ ბატონ ანზორ ერქომაიშვილს, ვისი მადლითაც XX-XXI საუკუნეებში ქართულმა სიმღერა-გალობამ ახალი სიცოცხლე და მრავალი გამარჯვება ჰპოვა;



საგალობლოთა სანოტო ხელნაწერებზე მუშაობის საშუალებისა და ხელნაწერთა ფოტოასლების გადმოცემისათვის მადლობას ვუხდით:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, ბატონ მიხეილ ბატიაშვილს და მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ მიხეილ გიორგაძეს;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური არქივის ხელმძღვანელს, ქალბატონ თეონა იაშვილს;

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელს, ქალბატონ ცისანა ქორჩიაშვილს და ამჟამინდელ დირექტორს, ბატონ გიორგი დონაძეს;

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ამჟამინდელ ხელმძღვანელს, ბატონ ზაზა აბაშიძეს და მის წინამორბედებს — ბატონებს ბუბა კუდავასა და ზაზა ალექსიძეს;

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებს, ქალბატონებს ესმა მანიასა და ლელა გოცირიძეს;

ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევარს ბატონ ლუარსაბ ტოგონიძეს;

განსაკუთრებული მადლიერება მიმდა გამოვხატო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, სახელმწიფო არქივისა და საქართველოს კინოსა და თეატრის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის, ქალბატონ ქეთევან ასათიანის მიმართ — უანგარო, მრავალწლიანი პროფესიული თანამშრომლობისა და ადამიანური თანადგომისათვის;

მადლობას ვწირავ ჩემს მასწავლებლებს, წირვის ქართლ-კახურ საგალობლოთა კრებულზე მრავალწლიანი მუშაობის პროცესში გამოჩენილი განუზომელი სიკეთისა და თანადგომისათვის: გენიალურ მუსიკოსს — შალვა მოსიძეს, რუსუდან ნურნუმიას, ვანო ყლენცს, ლია ნურნუმიას, თამარ ჩხეიძეს, ლეილა მარუაშვილს, ქეთევან ბოლაშვილს, ნანა შარიქაძეს, ლელა მაქარაშვილს, ეთერ მგალობლიშვილს, მარიკა ნადარეიშვილს, ლია სალაყაიას, ლია ბაიდოშვილს, ნანა ქავთარაძეს, ირინა მამისაშვილს, ევგენია ლოღელიანს, ნატალია ზუმბაძეს, დავით შულღიაშვილს, თამაზ გაბისონიას.

განსაკუთრებულ მადლიერებას და ლოცვას ვწირავ, ჩემი ნეტარხსენებული პედაგოგების — მანანა ანდრიაძის, დევილ არუთინოვ-ჯინჭარაძის, ევსევი ჭოხონელიძის, ანა (მენული) თოფურიასა და გენიალური იოსებ კეჭაყმაძის უკვდავ სულებს — დაუფიწყარი პედაგოგიური ხელმძღვანელობის, თანადგომისა და სიყვარულისათვის.

ანთოლოგიის II—IV ტომების მომზადება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ბატონების — მირიან ცხვარაძის და ავთანდილ ხარაბაძის, პეტრე მეტრეველის, თეიმურაზ ქარუხნიშვილის, გიორგი (ჯიმშერ) მეფარიშვილის, ლუკა (ლევან) ფალავანდიშვილისა და ზაქარია გიუნაშვილის, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ქალთა საზოგადოებისა და განსაკუთრებით, ქალბატონ ქეთევან ჭუბაბრიას, ასევე, ქალბატონების შორენა თეთრუაშვილის, მაია მუხიაშვილის, ზოია კობახიძის, ნინო პატარიძისა და ბარბარე რუხაძის, საპატრიარქოში მოღვაწე მონოზონთა — ბარბარე ქართველიშვილის, ალექსანდრა იასიბაშის, ანასტასია კოლევას, ივლიტა ლულუნიშვილის, მორჩილ ლია ძებისაშვილის და ასევე, ბატონების გიორგი ანდრიაძისა და რევაზ შარაბიძის თანადგომა. მადლობას ვწირავ მათ, საჭირო ტექნიკური ინვენტარისა და აპარატურის სამების ტაძრის საპატრიარქო გუნდისათვის საჩუქრად გადმოცემის, სტეფანე კარბელაშვილის ხელნაწერთა ფოტოასლების I კოლექციის დამზადებისა და ჩვენთვის მონოდებისათვის; ასევე, საქართველოს საპატრიარქოში კრებულზე მუშაობისას განეული თანადგომისათვის.

გამოცემაზე მუშაობაში თანადგომისა და მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდით:



გენიალურ ქართველ შემოქმედთ: — კომპოზიტორ გია ყანჩელს და რეჟისორსა და დრამატურგს — რობერტ სტურუას.

მიტროპოლიტებს დანიელ დათუაშვილს, აბრაამ გარმელიას, საბა გიგიბერიას, გერასიმე შარაშენიძესა და იოანე გამრეკელს, ეპისკოპოს მელქისედეკ ხაჩიძეს, არქიმანდრიტებს იოაკიმე ასათიანს, ბართლომე ფირცხალაიშვილს, დავით ჭინჭარაულს, კონსტანტინე ჭინჭარაულს, სერაფიმე ჭედიას, იოანე ხელაიას, მოსე ჭანკვეტაძეს, ანდრია ლაცაბიძეს, დემეტრე თეთრუაშვილს; ილუმენ ლუკა ფალავანდიშვილსა და მღვდელმონოზონ სერაფიმე ჩეკურიშვილს, დეკანოზებს ტარიელ სიკინჭილაშვილსა და მიქაელ ფოფხაძეს, არქიდიაკონ დემეტრე დავითაშვილს, პროტოდიაკონ მირიან სამხარაძეს, დიაკონ ლეონიდე ებრალიძეს, ილუმენიებს ქეთევან კოპალიანს, თეოდორა მახვილაძეს, მარიამ მიქელაძეს, ელენე ნაფეტვარიძეს; მონოზონ ნინო სამხარაძეს;

ქალბატონებსა და ბატონებს: თამარ გოგელიძეს, ნიკოლოზ რაჭველს, თამარ გეგეჭკორს, ქეთევან გვაზავას, ნინო ბაკურაძეს, თეონა კონტრიძეს, გიორგი ცაგარელს, ელისაბედ ბაგრატიონს, გიორგი კილაძეს, გიორგი ხუნაშვილს,

